ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

13 — 14 აგვისტო, 2011 №191 (5572) ფასი: 30 თეთრი

## შოთა უტიაშვილმა ჩვენება მისცა

გვ.2



გვ.12

ასტროპროგნოზი

TV პროგრამა

გვ.10

# სერგეი შამბა: „რევოლუციას მოვაწყობ, არჩევნებს თუ არ მოვიგებ“



გვ.4

აფხაზეთში არეულობა უკვე დაიწყო

## ჰალსტუხები კაბინეტშიც დავკიდე

რატომ იყიდა დეპუტატმა გოდაბრელი ემ ველოსიპედი

გვ.5



## მოხუცები და ბავშვები ქუჩაში არ უნდა გამოყარო

გვ.3

პოლიცია ადამიანებს არ იცავს



ვინ ჩაუშალა ხელისუფლებას „ენგურჰესის“ გაყიდვა

გვ.2

## ქართული ეკონომიკა მთლიანად რუსეთის ხელში გადადის



## რუსეთმა ცხინვალის და სოხუმის ალიარებით საბედისწერო შეცდომა დაუშვა

გვ.6



გვ.6

## მერია „თბილისის წყლის“ გაყიდვას უარყოფს



გვ.3

## გიორგი ცაგარეიშვილი: „ჩვენ არ ვნადირობთ არავის თანამდებობაზე“

ISSN 1987-9385

9 771987 938005

## 3090

### sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

ნონა ცაბა ე

# ქართული ეკონომიკა მთლიანად რუსეთის ხელში გადადის

## ვინ ჩაუშალა ხელისუფლებას „ენგურჰესის“ გაყიდვა

**ინტერვიუ ექსპერტთან კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან**



***— ბატონო მამუკა, 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომიდან უკვე სამი წელი გავიდა. ამ სიტუაციაში რამდენად ხედავთ შანსს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა?***

— მდგომარეობა ძალიან რთულია, ძალიან მძიმეა იმ თვალსაზრისით, რომ პერსპექტივა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ცალსახად არ ჩანს, რომ ამ ეტაპზე რაღაცის შემოტრიალება შეიძლება. ეს ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ რომ ვთქვა, აბსოლუტური უიმედო მდგომარეობაა და არაფრის გაკეთება არ შეიძლება, არც ასეა. უნდა ითქვას ისიც, რომ ბევრად უფრო უარეს მდგომარეობაში ვართ, ვიდრე ვიყავით, ვთქვათ, იგივე 2008 წლის 1 აგვისტოს. თუ ჩვენ ახლებური მიდგომები არ გამოვიტანეთ საზოგადოების სამსჯავროზე, ისე სიტუაციას ვერ შევცვლით. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის მისაღებია ის გეგმა, რომელიც ხელისუფლებამ შეიმუშავა ახალი სტრატეგია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, მე ვფიქრობ, რომ ამ სტრატეგიის განხორციელება მიდის ძალიან ნელი ტემპით და ზოგ შემთხვევაში საერთოდ არ მიმდინარეობს. რასთან არის ეს დაკავშირებული, ჩემთვის რთული სათქმელია. იქნებ თანხების სიმცირესთან, იქნებ წინააღმდეგობაა სერიოზული, ან პოლიტიკური ნებაც არასაკმარისია, მაგრამ საბოლოო ჯამში, პრაქტიკულად ეს სტრატეგია ძალიან დაბალ ტემპში მუშაობს. მხოლოდ ერთ სეგმენტშია აქტიური, ეს არის ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობა, სხვა ყველაფერ დანარჩენში არის პრაქტიკულად სტაგნაციურ მდგომარეობაში. საბოლოო ჯამში კი ეს ყველაფერი იმედს არ მაძლევს, რომ სიტუაციის რადიკალურად შეცვლა შესაძლებელია.

***— თქვენთვისაც ცნობილია მედვედევის ბოლოდროინდელი ინტერვიუ და განცხადებები, როგორც ექსპერტს, რა შთაბეჭდილებები და დაგრჩათ და როგორია თქვენი შეფასებები?***

— მედვედევი ამ ინტერვიუში საკმაოდ ეშმაკურად საუბრობს. ერთის მხრივ, ის გარკვეულ იმედს აძლევს ქართველ საზოგადოებას, მეორეს მხრივ აცხადებს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას გამორიცხავს. მარტივად რომ ვთქვათ, ის ასე ამბობს, რომ შეცვალეთ თქვენი ხელისუფლება და მერე ვილაპარაკოთ. პრინციპში, ეს არ არის მისაღები ფორმულა მედვედევის მხრიდან. ის ამბობს, რომ ჩვენ ვიქნებით ოკუპანტები მანამ, ვიდრე არის სააკაშვილი, მაგრამ არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ სააკაშვილის წასვლის შემდეგ ის ოკუპანტი არ იქნება. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, რუსეთმა ჩაიდინა უზარმაზარი დანაშაული. ის დამნაშავეა ეთნოწმენდის მოწყობაში, რასაკვირველია, ჩვენს ხელისუფლებასთან ერთად. მედვედევი გვეუბნება, რომ მე არაფერში არა ვარ დამნაშავე, დამნაშავეა მხოლოდ მეორე მხარე — სააკაშვილი და მისი ხელისუფლება. ეს ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, იმიტომ, რომ ძალიან კარგად ვიცი, ვინ რაშია დამნაშავე და რა დოზით. საქართველოს ხელისუფლების დანაშაულიც კარგად ვიცი და რუსეთის ხელისუფლების. ამდენად, ჩემთვის ეს ინტერვიუ არის თვალთმაქცობის კლასიკა, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ პოლიტიკური მოღვაწეებისთვის. ასე რომ, მედვედევს ახალი არაფერი არ უთქვამს, უბრალოდ, ლამაზად გააფორმა ის, რასაც აკეთებს რუსეთი.




***— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქართული მხარე რუსეთს ოლიმპიადის წინ ბათუმის და ფოთის პორტებს სთავაზობსო, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს ყოველივე?***

— ამის თაობაზე მე არაფერი არ მსმენია, მაგრამ ბათუმის პორტის შეთავაზება აბსოლუტურად არალოგიკურად მიმაჩნია თავისი დაშორების გამო. ამ სიშორეზეა და ჩემთვის გაუგებარია, რა შუაშია ბათუმის პორტი? გინდა ბათუმის პორტში შემოუტანიათ ტვირთი და გინდა — ყირიმის პორტებში, იმათ უფრო იოლად მოელაპარაკებიან. ან თუნდაც სევასტოპოლის პორტში, რომელიც გარანტირებული აქვს და მაშინ იქიდან ატაროს ის ტვირთები, რა აზრი აქვს. შეიძლება კი შესთავაზა ქართულმა მხარემ, როგორც იციან ხოლმე ემოციურ ფონზე, მაგრამ მე ამაში ლოგიკის მარცვალს ვერ ვხედავ. მე ეს ყველაფერი არარეალურად მეჩვენება.

***— საკმაოდ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ქართული მხარე რუსეთისთვის რკინიგზის და გაზსადენის მიყიდვას აპირებს.***

— ის, რომ რუსეთს ძალიან უნდა საქართველოს რკინიგზის ყიდვა, ეს ფაქტია. სწორედ მაგიტომაც შექმნა მან ისეთი ქსელი მთელი საქართველოს გარშემო, რომ სომხეთის რკინიგზის შემდეგ ძალიან აქტუალური ხდება საქართველოს რკინიგზის შესყიდვაც, მით უმეტეს, ვიცით, რომ აფხაზეთის რკინიგზის არენდით აღებაც ხდება, პრაქტიკულად კი მითვისება აფხაზეთის რკინიგზის და ამით ჯაჭვი შეიკვრება. რუსეთს ყოველთვის უნდოდა, რომ პირდაპირი კავშირი ჰქონოდა თავის მოკავშირე ირანთან და ერთადერთი რგოლი, რომელიც ამოვარდნილია ამ სიტუაციიდან, არის საქართველოს რკინიგზა. თან საქართველოს რკინიგზა არის ძალიან მძიმე მდგომარეობაში, ამორტიზებულია ფაქტიურად და ძალიან დიდი თანხა სჭირდება მის რეაბილიტაციას. არ არის გამორიცხული, რომ ასეთი წინადადება რუსებმა მისცეს კულუარულად საქართველოს ხელისუფლებას. მაგრამ საქართველოს რკინიგზა თუ მიეყიდება რუსულ მხარეს, ეს ნიშნავს, რომ ისედაც ქართული ეკონომიკის დიდი ნაწილი რუსეთის ხელშია და პრაქტიკულად კომუნიკაციური ნაწილიც რუსეთს ჩაუვარდება ხელში და მაშინ რაღა დარჩება საქართველოდან? აღარაფერი!

***— სწორედ ეს არის გასაკვირი, როდესაც ასეთ დაძაბულ ურთიერთობაში ვიმყოფებით რუსეთთან, რატომ უნდა მიდიოდეს ამაზე ჩვენი ხელისუფლება?***

— ქართული მხარე ბენდუქიძის დოქტრინის მიხედვით საქმეს აყენებს ასე, რომ პოლიტიკა პოლიტიკაა, ეკონომიკა — ეკონომიკა, რაც მე აბსოლუტურად საფუძველშივე არასწორედ მიმაჩნია. ამ პოლიტიკის მიხედვით არის სწორედ, რომ უამრავი ენერგეტიკული სიმძლავრეები მიეყიდა რუსეთს. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ენგურჰესთან დაკავშირებით, მაგალითად, თქვენ გახსოვთ, რომ მემორანდუმი ფორმდებოდა, რომ რუსეთს უნდა გადასცემოდა მართვის უფლებით გარკვეული ნაწილი ენგურჰესისა, როგორც მე გავარკვიე, მაგრამ იგივე აფხაზური მხარის აქტიურობამ ჩაშალა ეს მოლაპარაკება. სასაცილოა არა, რომ ჩვენ ჩვენს მტერზე ვყიდდით ენგურჰესის რაღაცა ნაწილს და ჩვენმა მეორე მტერმა ჩაშალა ეს მოლაპარაკება. აფხაზები უფრო პატრიოტულად მოიქცნენ ამ სიტუაციაში. ეს არის იმ დოქტრინის ნაწილი, რომელსაც ბენდუქიძე ავითარებს და მე ეს მიმაჩნია დანაშაულებრივ დოქტრინად, სიმართლე რომ გითხრათ და ვთვლი, რომ თუ გადაეცი სიმძლავრეები შენი ეკონომიკისა, მაშინ ჩათვალე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამის გამოყენება თავისუფლად შეუძლია უკვე შენს მოწინააღმდეგეს. სხვათა შორის, ვისაც არ ახსოვს, გავახსენებ, რომ როდესაც მოხდა ჩილეში ანტისახელმწიფოებრივი გადატრიალება, ზუსტად იქიდან დაიწყო, რომ გადაცემული სიმძლავრეები და მაშინ ჩილესთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძალა იყო გადამზიდავების სისტემა — სარკინიგზო და საავტომობილო, აი, ეს ყველაფერი იყო უცხოელების ხელში და როდესაც დაიწყო მომზადება გადატრიალებისთვის, პირველი, რაც გაჩერდა, ეს იყო ზუსტად გადამზიდავები. გადამზიდავებმა გააჩერეს და „პარალიჩი“ დამართეს ჩილეს ეკონომიკას, მერე ამან გამოიწვია ხალხის გაღიზიანება, ხალხის გაუცხოება მთავრობის მიმართ და მერე გადატრიალება უფრო იოლი გახდა და ხელში ჩაგდება სხვა რეჟიმის მიერ ქვეყნისა. ბევრი ჩვენი ჩინოვნიკი ამ ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით ფიქრობს ასე, რომ თან ხომ არ წაიღებენ ამას? აქ უნდა ამუშაონ და ხალხი უნდა დაასაქმონ, მაგრამ არ არის ეს ასე. ერთ მშვენიერ დღეს, როცა მოუნდებათ, შეუძლიათ ისეთ სტაგნაციაში ჩააგდონ მთელი ქართული ეკონომიკა, რომ ქვეყანა, როგორც სახელმწიფო, მოკვდეს. მათ შეუძლიათ ამის გაკეთება. ჩვენ კიდევ აბსოლუტურად უკანმოუხედავად ვდგამთ ამ ნაბიჯებს. რომ არ იყოს ასეთი ტიპის დოქტრინა, როგორიც არის ბენდუქიძის დოქტრინა, მაშინ ვიტყოდი, რომ ეს მთავრობა მოღალატე მთავრობაა. მიუხედავად იმისა, რომ მე არაერთხელ მითქვამს, რომ მეხუთე კოლონა არსებობს ამ ხელისუფლებაში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი მთავრობა ასეთია. ამიტომ აქედან გამომდინარე, მე ვთვლი, რომ ეს არის არასწორი პოლიტიკა, რომლის გამოსწორებაა აუცილებლად საჭირო და რომელიც უნდა შეიცვალოს.

***— გაზსადენის საკითხი?***

— რაც შეეხება გაზსადენს, იმ გაზსადენს, რომლითაც სომხეთი მარაგდება, ვიცით, რომ ის იყიდება, ოღონდ აქ არის ბევრი მოვაჭრე, აზერბაიჯანული მხარე და სხვები და სხვები. ამ თემაზე დაფიქრება გვმართებს, პრინციპში მე წინააღმდეგი ვარ იმის გაყიდვისაც, მაგრამ აქ მაინც შეიძლება ფიქრი და რაღაც ვარიანტების გამოძებნა. რაც შეეხება სხვა გაზსადენს, შაღდენიზს ვერ გაყიდიან, იმიტომ, რომ არ ეკუთვნის საქართველოს, მხოლოდ თავის წილს თუ გაყიდიან იქიდან, დანარჩენი იქ არაფერი ეკუთვნის საქართველოს. ამ თვალსაზრისით სტრატეგიულ გადაწყვეტილებას ქართული მხარე ვერ მიიღებს. რაც შეეხება იმ გაზსადენს, რომლითაც სომხეთი მარაგდება, აქ არის საფიქრალი. ამ გაზსადენის რეაბილიტაციისთვის დაიხარჯა ამერიკული ფული და ნათქვამი იყო, რომ არ უნდა გაყიდულიყო, მაგრამ ეს ვადა იყო 2011 წლის აპრილის თვემდე. აპრილის თვის შემდეგ უკვე საქართველოს შეეძლო ამ გაზსადენზე ისეთი გადაწყვეტილება მიეღო, როგორიც მას უნდოდა. სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ რაღაც საეჭვოდ ამერიკელები დუმან უკვე და აღარ ლაპარაკობენ, რომ ეს უნდა გაიყიდოს თუ არ უნდა გაიყიდოს.

***— ეს დუმილი თქვენთვის რისი მანიშნებელია?***

— მანიშნებელია იმისა, რომ რაღაცა კულუარული მოლაპარაკებები ხდება ამ გაზსადენთან დაკავშირებით, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. რადგანაც მეტ ინფორმაციას არც მე ვფლობ, დეტალებზე ვერ ვიმსჯელებ. თუმცა, ვიმეორებ, რკინიგზის შემთხვევაში ეს არასწორი პოლიტიკაა, ასევე არასწორი პოლიტიკაა ენერგოსიმძლავრეების შემთხვევაში, მაგრამ რაც შეეხება ამ კონკრეტულ გაზსადენს, არც ამის გაყიდვის მომხრე ვარ, მაგრამ არსებობს, მაგრამ და ამაზე ფიქრი შეიძლება, ეს პოლიტიკური თამაშია და შესაძლოა, გარკვეული მოგება ვნახოთ, არა ფინანსური, არამედ პოლიტიკური.

# შოთა უტიაშვილმა ჩვენება მისცა

ბადრი ბიწაძის სასამართლო პროცესზე შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა ვერ გაიხსენა, თუ რა შინაარსის განცხადება გააკეთა 27 მაისს, როდესაც ტელევიზიების საშუალებით საზოგადოებას რესტორან „ზღაპარში“ დაფიქსირებული ფარული ვიდეოჩანაწერი გააცნო. როგორც სასამართლო განხილვის დასრულების შედეგ ბიწაძის ადვოკატმა ლევან სამუშიამ „მედიანიუსს“ განუცხადა, დღეს სასამართლოს ჩვენება შოთა უტიაშვილმა მისცა და თავისი განცხადებებით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მან ბიწაძის უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვია.

— უტიაშვილთან კითხვები მქონდა 27 მაისს შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ იმ ვიდეოჩანაწერთან დაკავშირებით, რომელიც რესტორან “ზღაპარშია“ ჩაწერილი. უტიაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ჩანაწერი კიდევ ერთი მტკიცებულება იყო იმ დანაშაულისა, რომელსაც „სახალხო კრების“ ერთი ნაწილი გეგმავდა. კითხვაზე თუ სად ხედავდა ამ ჩანაწერში დანაშაულს, უტიაშვილმა განაცხადა, რომ არ ახსოვს, ამ ვიდეომასალაში კონკრეტულად სად იკვეთება დანაშაული და არც ის ახსოვს, გააკეთა თუ არა პრესკონფერენციაზე შესაბამისი განცხადება. დაცვის მხარემ მოვითხოვეთ უტიაშვილისთვის „ზღაპარში“ ჩაწერილი ვიდეომასალის ჩვენება, თუმცა მოსამართლემ ჩვენდა გასაკვირად, ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რეალურად კი სრულიად კანონიერ რაღაცას ვითხოვდით — ეს ვიდეოჩანაწერი თავსი დროზე გია ბურჯანაძის და ირაკლი ბათიაშვილის დაკითხვისასაც წარმოვადგინეთ, მაშინ მოსამართლეს პრობლემა არ ჰქონია, ახლა შუამდგომლობაზე უარი გვითხრა, — განაცხადა ადვოკატმა და დასძინა, უტიაშვილმა დღეს ვერ დაადასტურა მის მიერ 27 მაისის პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმადაც „ზღაპარში“ გაკეთებულ ჩანაწერში ბადრი ბიწაძის ან სხვა რომელიმე პირის დანაშაული იკვეთება. სამუშიას შეფასებით, უტიაშვილმა ბიწაძის უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვია.

ბიწაძის საქმეზე განხილვები ორშაბათიდან განახლდება. ადვოკატის ინფორმაციით, ორშაბათს პროკურორი დასკვნით სიტყვას წარმოთქვამს. დაცვის მხარეს დასაკითხად მხოლოდ ერთი მოწმე, ნონა გაფრინდაშვილი დარჩა, რომელიც უცხოეთიდან საქართველოში 17 აგვისტოს ბრუნდება. სამუშია იმედს გამოთქვამს, რომ სასამართლო „სახალხო კრების“ თავმჯდომარეს დაელოდება და განაჩენს მისი ჩვენების გარეშე არ გამოიტანს.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 94-39-34
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

**რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.**

# მოხუცები და ბავშვები ქუჩაში არ უნდა გამოყარო

ნათია ხურცილავა

## პოლიცია ადამიანებს არ იცავს

**ყოფილი დეპუტატი ალეკო შალამბერიძე აცხადებს, რომ ერთადერთი სწორი გზა არსებობს და ეს არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებაა. შალამბერიძე არ გამორიცხავს, რომ თუ ოპოზიციამ სწორად დააყენა პოლიტიკური მოთხოვნები, პრეზიდენტი დათმობებზე წავიდეს.**

ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ **ალეკო შალამბერიძეს-თან** ინტერვიუს გთავაზობთ.

***— ბატონო ალეკო, მოსახლეობის გარკვეული კატეგორია — დევნილები, ექიმები პროტესტს გამოთქვამენ, მაგრამ მათ აქციებზე ოპოზიცია არ ჩანს. რატომ? თუმცა, თქვენ აქტიურად ხართ მათ გვერდით.***

— ვერ გეტყვით, მე ეს ამოცანა ვერ ამოვხსენი.

***— თქვენც გაქვთ ეს კითხვა?***

— რა თქმა უნდა.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ შეიძლება განაწყენებული არიან?***

— ადამიანები ვართ და ჩვენი სისუსტეები გვაქვს, მაგრამ, როდესაც ასეთი მდგომარეობა არის, როდესაც ადამიანს ყველაზე მეტად უჭირს, მაგალითად, ომის დროს, ვიცი, რომ მტრებიც კი, როდესაც დაჭრილი არიან, ერთმანეთს ეხმარებიან, რათა სიცოცხლე გადაარჩინონ. ამიტომ ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს. მე და ლაშა ჩხარტიშვილი მივდივართ მათთან მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ადამიანები დავიცვათ. ცარიელი ხელებით ვიცავთ, პოლიცია, რომელიც შეიარაღებულია, ამ ადამიანებს არ იცავს. ქუჩაში ადამიანები არ უნდა გამოყარო. სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია სწორედ ის არის, რომ თავისი თითოეული მოქალაქე დაიცვას, უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება. უდანაშაულო ადამიანი, ბავშვი, მოხუცი ქუჩაში არ უნდა დაყარო და დილის 6 საათზე ლოგინიდან არ უნდა წამოყარო.

***— ყველაზე აქტუალური პრობლემა პოლიტიკური თვალსაზრისით რა არის ქვეყანაში?***

— ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ არჩევნები გვიახლოვდება. სწორედ ამ არჩევნებმა უნდა შეცვალოს ქვეყნის ისტორიაში არსებული მდგომარეობა. როგორც პოლიტიკოსებში, ისე საზოგადოებაში აზრები გაყოფილია.

***— რა კუთხით?***

— არიან არჩევნების გზის მომხრეები და მეორე ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ ტირანთან არჩევნებით ვერაფერს გახდები.

***— ეს პოზიცია აქვს ბურჯანაძეს...***

— შეცვალა და განაცხადა, სწორედ იმიტომ ვიბრძოდი, სააკაშვილს სამართლიანი არჩევნები ჩაეტარებინაო. ახლა მთავარია, პირდაღებული არ შევხვდეთ არჩევნებს. უპირველესად ყოვლისა, პოლიტიკურ სპექტრზე ვსაუბრობ, რომელმაც ცალსახად უნდა ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია, რათა არჩევნების გზით დავამარცხოთ ტირანია, რომ საზოგადოებაში არ იყოს დაბნეულობა. ამიტომ, მე ვფიქრობ, უპირველესი ამოცანა ყველა პოლიტიკოსის ეს არის. საჭიროა, არჩევნებამდე სერიოზული დათმობები გავაკეთებინოთ საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით ხელისუფლებას. ხშირად ამბობენ, როგორ შეიძლება, როდესაც ქვეყანაში არ არის სასამართლო, მედია, ადმინისტრაციული რესურსი სააკაშვილის ხელშია, არჩევნების გზით მიაღწიო წარმატებას. მიმაჩნია, სასამართლო თუ გვინდა, რომ ნორმალური და თავისუფალი იყოს ქვეყანაში, თუ გვინდა, რომ მოგვარდეს პრობლემები, აღარ იყოს გაძვირებული ტრანსპორტი, ფასები, საჭიროა ამ ხელისუფლების არჩევნების გზით გაშვება ან შეზღუდვა.



***— როგორ?***

— პარლამენტში სერიოზული ბალანსის შექმნით ოპოზიციის ძალების მიერ. ამისთვის კი მთელი ამ ხნის განმავლობაში ბრძოლა უნდა იყოს, სერიოზული აქციები იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება საარჩევნო სიების გასწორებასა და ზოგადად სისტემის შეცვლას. ამ საკითხებისთვის ბრძოლაა საჭირო.

***— „ექვსიანი“ ხომ იბრძვის.***

— ეს არ არის საკმარისი. ამ ბრძოლის წარმოებისთვის საჭიროა საზოგადოების გვერდით დაყენება. საზოგადოება მაშინ დაგიდგება გვერდით, თუ შენც დაუდგები, როდესაც მას აქვს პრობლემები და პირადად ეხებიან. ეს არის სწორი გზა, ჩემი აზრით, სხვა გზის დეკლარირება სააკაშვილის წისქვილზეასხამს წყალს. გამოცხადებული და დაანონსებული რევოლუციები სწორედ ამას ემსახურება და სხვას არაფერს. ამდენად, საჭიროა სერიოზული აქციების გზით, სადაც იქნება კონკრეტული მოთხოვნა, მივაღწიოთ საზოგადოების მხარდაჭერას და შემდეგ ამ ხელისუფლების ცვლილებას. საზოგადოება და ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი თუ ერთიანად ივლის, მათი მოთხოვნები იქნება იდენტური, მაშინ შეიძლება გარდატეხის მიღწევა, სააკაშვილისგან სერიოზული დათმობების მოპოვება არჩევნებამდე.

***— თუმცა, ჩვენ გვახსოვს სერიოზული აქციები, 2007 წლიდან მოყოლებული, მაგრამ შედეგი რა იყო?***

— 2007 წლის აქციები სერიოზული იყო, მოთხოვნა სწორად იყო დაყენებული. მაშინ ოპოზიცია ითხოვდა კონსტიტუციურ ვადებში არჩევნების ჩატარებას, მაშინ შედეგი იქნა მიღწეული, სააკაშვილი საერთოდ გადადგა.

***— მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებს არ ითხოვდა ოპოზიცია.***

— სააკაშვილმა თაღლითობა გამოიყენა, გადადგა და საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა, რომლითაც შეძლო ამ სიტუაციის დატრიალება. რაც შეეხება 2009 წლის აქციებს, ლოზუნგი „გადადგეს სააკაშვილი“ არასწორი იყო და სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ ხალხის ქუჩაში გამოსვლამ ვერ გამოიღო შედეგი.

***— „კარვების აქცია“ გაუმართლებელი იყო?***

— „კარვების აქციაზე“ არ ვსაუბრობ. ის კარგი იყო, მაგრამ ლოზუნგი არასწორი გახლდათ. თუ ასეთი ძალისხმევა და თავდადება შეუძლია ჩვენს მოსახლეობას, სწორი ლოზუნგის შემთხვევაში კონკრეტული მოთხოვნის მიღწევა შეიძლება, ვგულისხმობ საარჩევნო სისტემის ცვლილების მოთხოვნის დაყენებას.

***— რამდენად დათმობს?***

— დათმობს, თუ ლოზუნგი, მოთხოვნა სწორი იქნება. თუ სწორი მოთხოვნა არ იქნება, არაფერს დათმობს და უარესსაც გაგვიკეთებს ყველას. ამიტომ საჭიროა სიფრთხილე.

***— ალბათ აპირებთ 2012 წლის არჩევნებში მონაწილეობას.***

— რა თქმა უნდა, ვაპირებ.

***— რომელ პარტიაში წარმოგიდგენიათ მომავალი საქმიანობა?***

— არ მინდა, ვიჩქარო რომელიმე პარტიაში გაწევრიანება. უამრავი საქმე მაქვს იმ ადამიანებთან დაკავშირებით, რომელთაც პრობლემები აქვთ. მიმაჩნია, რომ ბრძოლის მიჯნაზე უფრო ნათლად გამოიკვეთება, როგორი უნდა იყოს პოლიტიკური სპექტრი.

# გიორგი ცაგარეიშვილი: „ჩვენ არ ვნადირობთ არავის თანამდებობაზე“

ნანა მიშელაშვილი

**ახალი ოპოზიციური ფრაქცია ჯონდი ბაღათურიას ინტერესების დაცვას ჯერ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე, შემდეგ კი პლენარულ სხდომაზე შეეცდება. ბაღათურიას საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა ვიცე-სპიკერობაზე უარი უთხრა. ამის გამო, ახალი ფრაქცია აღშფოთდა და პარლამენტის თავმჯდომარეს განცხადების გაკეთებისკენ მოუწოდა.**

როგორც ჩანს, ვიცე-სპიკერობისთვის ბრძოლა სექტემბერში ისეთი ძალით განახლდება, რომ ოპოზიციონერ დეპუტატებს შესაძლოა ერთმანეთი შემოელანძღოთ.

გახდება თუ არა ბაღათურია ვიცე-სპიკერი, ეს მხოლოდ პოლიტიკურ შეთანხმებაზეა დამოკიდებული. უმრავლესობა კი ასეთ შეთანხმებაზე ალბათ არ წავა. ამის თქმის საფუძველს თუნდაც ის გარემოება ამყარებს, რომ საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა ბაღათურიას ვიცე-სპიკერობაზე უარი თქვა.

მას შემდეგ, რაც ახალმა ფრაქციამ საპროცედურო საკითხთა კომიტეტისგან უარი მიიღო, ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილმა პარლამენტში ბრიფინგი გამართა. მან ჯერ ის საკითხი გააპროტესტა, რომ ფრაქციის არც ერთი წევრი კომიტეტის სხდომაზე არ მიიწვიეს. ცაგარეიშვილი ამბობს, რომ ჯერჯერობით ერთ ინსტიტუციაში მუშაობენ, ფრაქცია იმის ღირსი მაინც იყო, რომ კომიტეტის იმ სხდომაზე მიეწვიათ, სადაც მათი საკითხი განიხილებოდა. თავად საპროცედურო კომიტეტი კი ვალდებული არ იყო, რომ ფრაქციის წევრები ამ სხდომაზე მიეწვია, რადგან მათ ამას რეგლამენტი არ ავალდებულებს.

ვიცე-სპიკერობისთვის ბრძოლის გზაზე ჯონდი ბაღათურიას დაპირისპირება პაატა დავითაიასთან მოუწევს. მათ არც აქამდე ჰქონდათ კარგი ურთიერთობა და სავარაუდოდ, არც ამის შემდეგ ექნებათ.

ახალი ფრაქცია იმ მიზეზების განმარტებასაც მოითხოვს თუ რატომ ეკუთვნის ვიცე-სპიკერობა დავითაიას და არ ეკუთვნის ბაღათურიას?

როგორ მოხდა თავის დროზე დავითაიას ვიცე-სპიკერად არჩევა?

გიორგი ცაგარეიშვილი განმარტავს, რომ საპროცედურო საკითხთა კომიტეტი იმ მიზეზით არ აძლევს ვიცე-სპიკერის პოსტს, რომ თურმე პაატა დავითაია გაერთიანებული ოპოზიციის მიერ არის წარდგენილი.

— ეს არის არ შეესაბამება სიმართლეს იმის გამო, რომ პარტიამ „ჩვენ თვითონ“ ჯერ კიდევ 2008 წლის 27 მაისს დატოვა გაერთიანებული ოპოზიცია. მეორეც, ამ პარტიის წარმომადგენელი დავითაია ვიცე-სპიკერად არჩეული იყო არჩევნებიდან შვიდი თვის თავზე — 2008 წლის 22 დეკემბერს. დავითაიას კანდიდატურა ფრაქცია „ძლიერმა საქართველომ“ წარადგინა, ეს ფრაქცია კი ვერ იქნებოდა საარჩევნო სუბიექტი, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

გიორგი ცაგარეიშვილი იხსენებს, რომ ფრაქცია „ძლიერი საქართველო“ 2008 წლის დეკემბერში შეიქმნა და ამის შემდეგ წარადგინა პაატა დავითაიას კანდიდატურა ვიცე-სპიკერის პოსტზე.

— მე მაინტერესებს, „ძლიერმა საქართველომ“ ბარიერი გადალახაა 2008 წლის 21 მაისის არჩევნებში?! რა თქმა უნდა, არა! ის არჩევნების შემდეგ შეიქმნა პარლამენტში სამუშაოდ. თანაც ეს ფრაქცია მხოლოდ გაერთიანებული ოპოზიციის პარტიული სიით არჩეული დეპუტატებისგან არ შედგებოდა. რა შუაშია ეს დავიათაიას წარდგენასთან? — რიტორიკული შეკითხვა დასვა ცაგარეიშვილმა.

ახალი ფრაქციის თავმჯდომარემ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ პაატა დავითაიას დანიშვნა პოლიტიკური შეთანხმების საგანი იყო იმჟამინდელ უმრავლესობასთან და პირადად დავით ბაქრაძესთან. „მე ამაში ცუდს ნამდვილად ვერაფერს ვხედავ“, — დაამატა ცაგარეიშვილმა.

ახალი ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარე იმასაც ირწმუნება, რომ მათ არავის თანამდებობა არ უნდა.



— ჩვენ გვინდა ის, რაც გვეკუთვნის. თუ ეკუთვნის ერთს, ეკუთვნის მეორესაც. თუ არა ეკუთვნის ბაღათურიას, მაშინ არავის არ ეკუთვნის., — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

მთელი ბრიფინგის მანძილზე ცაგარეიშვილი ამტკიცებდა, რომ პაატა დავითაია გაერთიანებული ოპოზიციის წარდგენილი არ იყო და ვერც იქნებოდა. ამის სადემონსტრაციოდ მან დავითაიას კანდიდატურის წარდგენის ბლანკი აჩვენა ჟურნალისტებს, რომელსაც ხელს ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე გია თორთლაძე აწერს.

რატომ არ სურთ ბაღათურია სპიკერატში? ეს კითხვა ცაგარეიშვილმა თავად დასვა და პასუხიც თავად გასცა.

— ამის ახსნა მარტივია. მათ არ უნდათ ჩვენი წარმომადგენელი, რომელიც ძალიან დიდ პრობლემებს შექმნის სპიკერატში, ბიუროზე. მათ სჭირდებათ ისეთი ვიცე-სპიკერები, როგორიც ჰყავთ. ყველა კითხვა მოხსნილია, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

მან იქვე დაამატა, რომ ხათუნა გოგორიშვილს არ დაუჯერებენ და მისი რჩევით არ დაიწყებენ პაატა დავითაიას იმპიჩმენტს.

— ნამდვილად არ დავიწყებთ პაატა დავითაიას იმპიჩმენტის საკითხის აღძვრას. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამაზე მაღლა დავაყენებთ, ჩვენს თავს. ჩვენ არ ვნადირობთ არავის თანამდებობაზე, ჩვენ არავის იმპიჩმენტის საკითხის დაყენებას არ ვაპირებთ. ჩვენ საზოგადოებისთვის მარტივად შეგვიძლია ავხსნათ: თუ ეკუთვნის ერთს, რატომ არ ეკუთვნის მეორეს? გამოვიდეს პარლამენტის თავმჯდომარე და თქვას, რომ ეს იყო პოლიტიკური შეთანხმების საგანი. ამაში ცუდი არაფერი არ არის. ნეტავ, ჩვენ აქამდე პოლიტიკური შეთანხმების გზით გვევლო უმრავლესობასა და უმცირესობას, ხელისუფლებასა და ოპოზიციას, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ითხოვს თუ არა ახალი ფრაქცია ვიცე-სპიკერის პოსტისთვის პოლიტიკურ შეთანხმებას? ჟურნალისტის მიერ დასმულ ამ შეკითხვაზე ცაგარეიშვილის პასუხი ასეთია: „რა თქმა უნდა, ჩვენ ვითხოვთ პოლიტიკურ შეთანხმებას დაშვებული პრეცედენტიდან გამომდინარე. რადგან ასეთი პრეცედენტი დაშვებული იყო და ამას აბსოლიტურმა უმრავლესობამ დაუწირა მხარი, მაშინ დავაყენოთ ეს საკითხი და ბაღათურიას კანდიდატურას კენჭი ვუყაროთ. მაგრამ არ უნდათ, რომ ეს ადამიანი პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ იქნეს არჩეული!

ამდენად, 6 სექტემბერს, ბიუროს პირველივე სხომაზე ფრაქცია ბაღათურიას კანდიდატურის საკითხს დასვამს, პოლიტიკური დებატები კი სესიაზე მოხდება. წინასწარ ისეთი პირი უჩანს, რომ ბაღათურიას გავიცესპიკერება არ მოხდება.

## თბილისში 68 წლის მამაკაცი დაჭრეს

პარასკევს თბილისში ზაქარიაძის №8-სთან 68 წლის მამაკაცი ვლადიმერ ავაქოვი დაჭრეს. მას დიდი ზომის დანით მისმა მეზობელმა გიორგი ბალიაშვილმა 20 ჭრილობა მიყენა გულ-მკერდის არესა და მუცელში, ხოლო სამი ჭრილობა — ლავიწის ძვალში. შემთხვევის ადგილზე მივიდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და დაჭრილს პირველადი სამედიცინო დახმარება არმიჩინა, რის შემდეგაც ის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, ვლადიმერ ავაქოვის მდგომარეობა მძიმეა.

ამჟამად უცნობია მიზეზი, რის გამოც ბალიაშვილმა ვლადიმერ ავაქოვი დაჭრა, თუმცა ადგილობრივი მაცხოვრებლების ინფორმაციით, ბალიაშვილი ფსიქიკურად არის ავად. შემთხვევის შემდეგ გიორგი ბალიაშვილმა თვითმკვლელობა სცადა და ვენები გადაიჭრა. თუმცა მას სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებმა დახმარება აღმოუჩინეს, რის შემდეგაც ბალიაშვილი პოლიციაში გადაიყვანეს. მომხდართან დაკავშირებით პოლიციაში ბალიაშვილის დაკითხვა მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

# სერგეი შამბა: „რევოლუციას მოვაწყობ, არჩევნებს თუ არ მოვიგებ“

თეა მარხვაი ე

**ზუსტად 2 კვირის თავზე ყველას გვეცოდინება, ვინ გახდება აფხაზეთის რიგით მესამე პრეზიდენტი. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები აქ 26 აგვისტოს ტარდება. არჩევნებში მონაწილე სამივე კანდიდატს თითქმის თანაბარი შანსები აქვს. ექსპერტები აქ მეორე ტურის დანიშვნასაც არ გამორიცხავენ. საარჩევნო დოლი თვე-ნახევარია მიმდინარეობს, თუმცა კრემლს სიმპათიები ჯერ არც ერთი კანდიდატის მიმართ არ გამოუხატავს.**

სამაგიეროდ რაც უფრო ახლოვდება, არჩევნები მით უფრო მწვავე განცხადებებს აკეთებენ. არადა, სამივე მათგანი შეთანხმდა, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რათა არჩევნებმა ნორმალურ გარემოში ჩაიაროს.

ერთი პერიოდი ისინი ერთმანეთს მართლა კორექტულად აკრიტიკებდნენ. ალექსანდრ ანქვაბი, სერგეი შამბა და რაულ ხაჯიმბა ლანძღვით მხოლოდ საქართველოს ლანძღავდნენ, ახლა კი ერთმანეთს დაერივნენ.

## რევოლუცია მოდის?

მართალია არჩევნებამდე ორი კვირაა დარჩენილი, მაგრამ კანდიდატები უკვე რევოლუციით იმუქრებიან. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში დამარცხდებიან. რევოლუციურ განწყობაზე ამჯერად სერგეი შამბა გახლათ, რომელიც ხელისუფლების საეჭვო ქმედებებზე საუბრობს. არადა, თავად ამ მთავრობის მეთაურია.

ამ დღეებში „მოსკოვსკი კომსომოლეცში“ მისი ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც ის ძალიან საინტერესო თემებზე და რაც ყველაზე საინტერესოა, რევოლუციაზე საუბრობს. საინტერესოა ისიც, რომ შამბა თავის გამარჯვებაში დარწმუნებელია. და თავისი გამარჯვების გარდა არც ერთი შედეგის აღიარებას არ აპირებს.

— არ დავუშვებ, რომ მე გამარჯვება წამართვან. მე ვიცი, როგორ გავაკეთო ეს. მე ჩემს ცხოვრებაში ბევრჯერ მიბრძოლია და არაერთი რევოლუცია მომიწყვია, — განაცხადა შამბამ „მოსკოვსკი კომსომოლეცისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

შამბა წლების განმავლობაში საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ. მასზე ჩვენი ექსპერტებიც კი ამბობენ, რომ ის გამოცდილი დიპლომატია. არადა, კაცი ამბობს, რევოლუციების ოსტატი ვარო. საინტერესოა, რომელ რევოლუციებს გულისხმობს. სავარაუდოდ, ანტიქართული კამპანია აქვს მხედველობაში, რომელიც მან და მისმა „აიდგილარამ“ გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევს წამოიწყეს.

საარჩევნო სიებში არსებულ უზუსტობებზე ჩვენი ოპოზიცია გამუდმებით ტირის და ჩივის. ამ მხრივ დალაგებული ვითარება არც ჩვენს აფხაზებში ყოფილა. პრემიერ-მინისტრი შამბა ჩივის, რომ აფხაზეთში არჩევნების გაყალბება იგეგმება.

— ჩვენს საზოგადოებაში ჩამოყალიბდა აზრი, რომ იგეგმება არჩევნების ფალსიფიცირება. ჩემი აზრით, ეს დამატებითი სიებით მოხდება. ჩვენთან გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ მასობრივად ხდება პასპორტები ქსეროასლების შეგროვება. რისთვის კეთდება ეს, შეიძლება მხოლოდ ვარაუდი, — განაცხადა შამბამ.

მან 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიც გაიხსენა. მაშინ არჩევნებში მესამე ადგილი დაიკავა. გამარჯვებული კი მეორე ტურმა გამოავლინა. მხარეებს შორის მაშინ ძალიან დაიძაბა ვითარება. შამბა და კიდევ რამდენიმე ადამიანი მაშინ მშვიდობის მტრედების როლში გამოვიდნენ. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ ხალხის დაწყნარებას.

— მე 2004 წლის არჩევნებში მოწინააღმდეგე მხარეებს შორის კომპრომისს ვუჭერდი მხარს, დღეს ამის გაკეთებას აღარ ვაპირებ, — განაცხადა აფხაზმა ჩეგევარამ.

შამბას რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული ინტერვიუ მის კონკურენტებს არ გამორჩენიათ. ხაჯიმბას აზრით, შამბამ შეთანხმება დაარღვია. ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაკეთდა.

— სერგეი შამბამ განაცხადა, რომ ის არ დაუშვებს, რომ მას „გამარჯვება წაართვან“. რა „გამარჯვებაზეა“ საუბარი წინასსაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას. შემდეგ ინტერვიუში შამბა აგრძელებს რა თემას აცხადებს, რომ მან „ბევრჯერ იბრძოლა და არაეთრი რევოლუცია მოაწყო“, აგრეთვე იმას, რომ „იბრძოდა ქართული შოვინიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ“. ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია შიდაპოლიტიკური დაპირისპირების ესკალაცია, რომელიც შეიძლება დაიწყოს დაუფიქრებელი განცხადებითა და გამონათქვამებით. ჩვენ დიდი ძალისხმევით არ დავუშვით სიტუაციის განვითარება ყველაზე ნეგატიური სცენარით 2004 წელს და ყოველი ჩვენგანისთვის, განსაკუთრებით პასუხისმგებლობის გრძნობით შეპყრობილი პოლიტიკოსებისათვის, ეს უნდა გახდეს გაკვეთილი. მით უმეტეს, დაუშვებელია პარალელების გავლება და შედარება აფხაზეთის შიდაპოლიტიკური ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდისა ქართულ შოვინიზმთან და ექსტრემიზმთან. ასეთი განცხადებები ეწინააღმდეგება შეთანხმების „სუფთა და სამართლიანი არჩევნებისათვის“ სულისკვეთებას, — ნათქვამია ხაჯიმბას შტაბის განცხადებაში.



ეს განცხადება საინფორმაციო სააგენტო „აპსნიპრესმა გაავრცელა“.

## სომხური კარტი აფხაზურ არჩევნებში

დაუზუსტებელი ინფორმაციით, დღეს აფხაზეთში სომხები გაცილებით მრავლად ცხოვრობენ, ვიდრე აფხაზები. ამის გამო აფხაზეთში არაერთხელ აიწია პოლიტიკური სკანდალი. ამ თემაზე უთანხმოება ჯერ კიდევ არძინბას პრეზიდენტობის დროს დაიწყო. ყველაზე ანტისომხურად განწყობილ პოლიტიკოსად რაულ ხაჯიმბა ითვლება. ამ უკანასკნელმა უშიშროების მინისტრობის დროს გაგრიდან ათეულობით სომხური ოჯახი გაასახლა. ისინი იქ რუსეთიდან იყვნენ ჩასული და როგორც მაშინდელი აფხაზური პრესა წერდა, ჩაწერის გარეშე ცხოვრობდნენ.

ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. სომხურ ელექტორატს კი არჩევნებზე სერიოზული გავლენის ქონა შეუძლია. წინა ორ არჩევნებში, სადაც ხაჯიმბა ბაღაფშის კონკურენტი იყო, სომხურმა მოსახლეობამ მხარი ბაღაფშს დაუჭირა.

უშიშროების კედლებში გამოზრდილმა ხაჯიმბამ კარგად იცის, რომ სომხური მოსახლეობა ამჯერადაც მის კონკურენტებს დაუჭერს მხარს. მართალია ხაჯიმბამ იცის, რომ სომხები მას ვერ იტანენ, მაგრამ სხვა კანდიდატების აქტიურობას მაინც აპროტესტებს.

მისი განცხადებით, არჩევნების წინ რიგი პოლიტიკური ძალები სომხური კარტის გათამაშებას ცდილობენ.

— წინა არჩევნებმა აჩვენა, როგორ შეუძლია, ხელისუფლებას პოლიტიკურ თამაშებში ეროვნული უმცირესობების თემების გამოყენება. ახლა სომხურ სოფლებში რიგი კანდიდატების მისიონერები ჩადიან და ადამიანებს ღიად აშინებენ. ასე მათ 26 აგვისტოს მათთვის ხელსაყრელი შედეგების მიღება სურთ. თუმცა არაფერი გამოვა. სომხური უმცირესობის ლიდერმა უნდა გაიგოს, რომ ერთი კანდიდატისთვის ხმის მიცემის შესახებ მოწოდება ვიღაცის სურვილისამებრ, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ერთმანეთთან დაპირისპირებას გამოიწვევს, — განაცხადა ხაჯიმბამ.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ სომხების დამწიოკებელი ხაჯიმბა მათ გამო გულამოსკვნილი ქვითინებს. მიიჩნევს, რომ ისინი მოქმედმა ხელისუფლებამ მოატყუა.

— იმის მიუხედავად, რომ გასულ არჩევნებში სომხების აბსოლუტურმა უმრავლესობამ მოქმედ ხელისუფლებას დაუჭირა მხარი, ხელისუფლებაში სომხების რაოდენობა არ გაზრდილა. ფაქტიურად, ადამიანები მოატყუეს. ამ შეცდომის გამეორება აღარ ღირს, — ურჩევს სომხებს ხაჯიმბა.

სომხურ ფაქტორზე გაამახვილა ყურადღება პრეზიდენტობის მეორე კანდიდატმა ანქვაბმა. ის მართლია ბაღაფშის გუნდის წევრია, მაგრამ სომხები მას არ სწყალობენ. ისინი მხარს სერგეი შამბას უჭერენ.

ამის მიუხედავად ანქვაბი მაინც ცდილობს მათი მხარდაჭერის მოპოვებას. ამ დღეებში ის სოხუმის რაიონის სოფელ იაშტუხას მოსახლეობას შეხვდა. ამ სოფელში სულ სომხები ცხოვრობენ.

მან აღშფოთება გამოთქვა, რომ მისი კონკურენტები სომხურ მოსახლეობას ანქვაბის გაპრეზიდენტებით აშინებენ.

— ჩემი, მიხეილ ლოგუას (ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი) და ჩვენი მომხრეების პოზიცია ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ჩვენთვის მიღებელია ბინძური პოლიტიკური ტექნოლოგიების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის წარსამართავად. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს ოპონენტებს ესმოდეთ ბუმერანგის ეფექტის არსებობა. ჩვენ ყოველთვის არ მივუშვერთ მათ ხან ერთ ლოყას, ხან მეორეს. ძალიან ცუდი იქნება მათთვის, ვინც კანონგარეშე ცხოვრობს, ვინც იპარავს, ეროვნებას კი ამასობაში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენი ამოცანაა — უზრუნველვყოთ უბრალოდ ადამიანების მხარდაჭერა, — განაცხადა ანქვაბმა.




## კანფეტები ქართული მოსახლეობისთვის

წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას კანდიდატებს არც გალის ქართული მოსახლეობა დავიწყებიათ. ამ მხრივ თავი უფრო ანქვაბმა და ხაჯიმბამ გამოიჩინეს. ანქვაბმა თავისი საარჩევნო კამპანია სულაც გალიდან დაიწყო. მან რამდენჯერმე განაცხადა, რომ მზადაა საქართველოსთან მოლაპარაკებები დაიწყოს.

როგორც ჩანს, ანქვაბის ინიციატივა აფხაზებს მოეწონათ და საქართველოსთან სიამტკბილობაზე განცხადება მისმა კონკურენტმაც გააკეთა.

გალის რაიონის სოფელ წარჩეში, პრეზიდენტობის ოპოზიციონერი კანდიდატი რაულ ხაჯიმბა მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე მისულ ადამიანებს ხაჯიმბა წინა საარჩევნო დაპირებებს აძლევდა, სკოლებში ქართული ენის სწავლებას, მშვიდობის დამყარებას, საქართველოს „საზღვრის“ გახსნას და საცხოვრებელად სტაბილურ მდგომარეობას ჰპირდებოდა.

ხაჯიმბამ ამ შეხვედრაზე ყურადღება საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებაზე გაამახვილა და სიტყვით გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ომი დიდი ხნის წინ დამთავრდა. დროა, მომავალ თაობებს ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდეთ.“

როგორც „ექსპერტთა კლუბი“ გვამცნობს, თავისი ემისარები გააგზავნა გალის რაიონში ანქვაბმაც. ისიც დაპირდა ქართველებს ადმინისტრაციულ საზღვრის გახსნას, მაგრამ სიტყვაც არ დაუძრავს ქართველების უფლებაზე, ისწავლონ მშობლიურ ენაზე. ეტყობა, ხაჯიმბამ ანქვაბის ეს შეცდომა დროულად გაითვალისწინა.

აფხაზეთის პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი მოსახლეობას შეხვედრისას რუსული პასპორტების აღებას სთხოვს. საარჩევნოდ პასპორტიზაცია გამარტივებული ფორმით მიმდინარეობს, რათა არჩევნებზე ბევრი ამომრჩეველი მივიდეს.

## დემოკრატიას ფული სჯობია

ვინც ანქვაბს იცნობს, ყველამ იცის, რომ ის წესრიგის მოყვარული ადამიანია. იმდენად, რომ საკუთარი მამა თავის დროზე დაიჭირა კიდევაც. მხოლოდ იმიტომ, რომ ის მანქანას გადაჭარბებული სიჩქარით მართავდა.

ვარაუდობენ, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში ის აფხაზეთში რკინისებურ დისციპლინას დაამყარებს. დემოკრატიული ღირებულებები, როგორც ჩანს, დიდად არ მოსწონს. „აპსნიპრესისთვის“ მიცუმულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ დემოკრატიას ფული სჯობია.

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კანდიდატმა დემოკრატიას ასე ჰკრა წიხლი. ის ამ ეტაპისთვის ამჯობინებს ფულს დემოკრატიას. ევროკავშირს აფხაზეთთან დაკავშირებით ახალი სტრატეგია აქვს. მას ჩართულობა და არაღიარება ჰქვია. ამას ბაღაფში და შამბაც დადებითაც უყურებდნენ.

— არ არის საჭირო დემოკრატიისთვის აგიტაცია, სჯობს დაეხმარონ აფხაზეთს დამანგრეველი ომის შედეგებისგან გათავისუფლებაში. ევროკავშირის ინიციატივა ჩემთვის ღიმილის მომგვრელია. დასავლეთს და ევროკავშირს არაერთი მცდელობა ჰქონდათ ჩავერთვეთ სხვადასხვა პროგარმასა და პროექტში, ამავე დროს მათ პირველ რიგში მხედველობაში ჰქონდათ საქართველო და არა აფხაზეთი.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ გვთავაზობენ რა სტრატეგიას „ჩართულობა, მაგრამ არაღიარება“, ევროპული სტრუქტურები სულაც არ ფიქრობენ აფხაზეთზე. მათ ჯერაც ამოძრავებთ იმედი, რომ სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს და აფხაზეთი, საბოლოო ჯამში, საქართველოსკენ შეტრიალდება. აფხაზეთის ხემლძღვანელობამ კი არაერთხელ გაიმეორა დასავლეთის წარმომადგენლებთან გამართულ სხვადასხვა შეხვედრებზე, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი შეუქცევადია. აფხაზეთმა მიაღწია თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ჩვენ გვცნო რუსეთმა, რომელიც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. არ არის საჭირო დემოკრატიისთვის აგიტაცია, სჯობს დაეხმარონ აფხაზეთს დამანგრეველი ომის შედეგებისგან გათავისუფლებაში, — განუცხადა „აპსნიპრესს“ ანქვაბმა.

ამავე დროს კანდიდატმა ხაზი გაუსვა, რომ მზადაა განიხილოს დასავლეთის სხვადასხვა საინვესტიციო წინადადება.

— განავითარონ ჩვენთან ბიზნესი, მისცენ უფლება ჩვენს ბავშვებს ისწავლონ ევროპაში, ჩვენს ავადმყოფებს კი — იმკურნალონ. სინამდვილეში კი უარს გვეუბნებია მძიმე ავადმყოფებისათის ვიზების გაცემაზე, მათთვის, ვისაც ესაჭიროება კონსულტაცია და სპეციალისტებთან მკურნალობა. ჩვენ გვთავაზობენ გაუგებარ პასპორტებს თუ სამგზავრო დოკუმენტებს, მაგრამ ჩვენ უკვე გვაქვს აფხაზეთისა და რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტები. აფხაზეთმა უკვე გაიარა უპასპორტობის მძიმე პერიოდი, — ამბობს ანქვაბი.

## ცემა-ტყეპა უკვე დაწყებულია

ზემოთ შამბას დაანონსებულ რევოლუციაზე ვისაუბრეთ. იქნება თუ არა რევოლუცია არავინ იცის. ცემა-ტყეპა კი ნამდვილად იქნება. უფრო სწორად უკვე დაწყებულია.

როგორც „ექსპერტთა კლუბი“ რუსულ გამოცემებზე დაყრდნობით, გვამცნობს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბაში დაპირისპირება მოხდა აფხაზეთის საპრეზიდენტო კანდიდატების ალექსანდრ ანქვაბის და რაულ ხაჯიმბას მხარდამჭერებს შორის. სოფლის ადმინისტრაციის შენობაში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების მიზეზი ამ დროისთვის უცნობია.

რუსული მედიის ცნობით, ინფორმაციით, დაპირისპირების შედეგად დაშავებულებს შორის არის სოფელ ბესლახუბას გამგებელი კობა ჭითანავა, რომელიც ოჩამჩირის საავადმყოფოში თავის არეში მიყენებული დაზიანებებით მოათავსეს.

როგორც ამბობენ, ეს მხოლოდ ჟურნალია და კინო წინ გველოდება.

ნანა მიშელაშვილი

# ჰალსტუხები კაბინეტშიც დავკიდე

**დეპუტატი გიორგი გოდაბრელიძე არ მალავს, რომ ბავშვობაში ცელქი იყო, ნიკაპიც არაერთხელ გაუტეხია და სხვა ტრავმებიც მიუღია.**

„ახალი თაობა“ **გიორგი გოდაბრელიძეს** ესაუბრა.

***— გოდაბრელიძეები დიდი გვარია? რამდენი ოჯახი ხართ?***

— არა, დიდი გვარი არ არის. საერთოდ, რაც ცოტაა, ის კარგია.

***— საგვარეულო შეკრებებს მართავთ ხოლმე?***

— ასე არ გვქონია, რომ ერთი დღე დაგვეთქვას და გვეთქვას, რომ ეს დღე გოდაბრელიძეების თავშეყრის დღეა, მაგრამ ხან ჭირში, ხან ლხინში ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს, ძირითადად დასავლეთ საქართველოში.

***— ალბათ საგვარეულო გერბი და ასეთი სიმბოლიკებიც არ გაქვთ, რადგან გვარი ხშირად ვერ იკრებებით, არა?***

— ასეთი რაღაცები არ გვაქვს. ახლა თუ დავახატვინებთ, არ ვიცი... მაგრამ დღეს საგვარეულო გერბი ნამდვილად არ გვაქვს. ისტორიის გაყალბება და ასეთი რაღაცები არ მიყვარს.

***— პირადად თქვენ თქვენს გერბად რას ისურვებდით?***

— ჰერალდიკაში ძალიან ცუდად ვერკვევი, მაგრამ, საქმე სურვილზე რომ მიდგეს, მაშინ ვისურვებდი, რომ ცოტა მიწათმოქმედებაზეც იყოს მინიშნება, რადგან ჩვენ ყოველთვის ისეთ ადგილებში ვცხოვრობდით, რომ მიწათმოქმედებას ვეწეოდით, ასევე გვიწევდა ბრძოლაც.

***— გერბზე უნდა იყოს მიწა, ხმალი და ა.შ.***

— კი, ხმალი თუ არა, პატარა ჯაყვა მაინც. რა თქმა უნდა, ეს ხუმრობით და კიდევ ალბათ აუცილებლად უნდა იყოს მთებიც, რადგან რაჭაც მთიანია და საჩხერეც.

***— თქვენ უფრო მეტად რომელი კუთხის თვისებები გაქვთ, იმერლების დამახასიათებელი, ქართლელებისა თუ რაჭველების?***

— არა, უფრო მეტად იმერლების თვისებები მაქვს.

***— სიფიცხე გახასიათებთ?***

— რომ გითხრათ, რომ განსაკუთრებულად ფიცხი ვარ, სიმართლე არ იქნება. მე მგონი, უფრო ფეთქებადი ვარ, მალევე რომ გადაგივლის.

***— უცბად რაზე შეიძლება გაბრაზდეთ? შეიძლება, თანამშრომელმა ისე გამოგიყვანოთ წყობილებიდან, რომ აფეთქდეთ?***

— რა თქმა უნდა, შეიძლება, რომ გამომიყვანოს წყობილებიდან, მაგრამ არც არაფერს ვესვრი და არც არაფერს ჩავარტყამ. ადამიანურად მივცემ შენიშვნას. ასეთი რაღაც არ მჭირს, რომ ჩემი ემოციები ვერ ვმართო.

***— სხვადასხვა თანამდებობაზე როდესაც მუშაობდით, იყო ისეთი შემთხვევები, რომ გაბრაზებისგან რაიმე ნივთი გისვრიათ, მაგალითად, ტელეფონი?***

— მობილური თუ მაგიდის ტელეფონი? არა, ასეთი შემთხვევა არასოდეს ყოფილა.

***— ახლა ქართულ ტრადიციებზე გადავიდეთ. როგორი თამადა ხართ? ამბობენ, რომ ძალიან კარგი თამადა ხართ და ღვინოსაც ძალიან კარგად იტანთ.***

— შეიძლება, ამბობენ, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ საშუალო თამადა ვარ. არც მაჩანჩალა ვარ, სიტყვას თავს რომ ვერ მოაბამს. სადღეგრძელოები ვიცი და კარგად თქმაც მეხერხება, მაგრამ გული მწყდება, რომ სიმღერა არ ვიცი.

***— მუსიკალური განათლება არ გაქვთ?***

— შვიდი წელი მაწვალეს, მაგრამ ტყუილად.

***— შვიდი წელი ისწავლეთ და თვლით, რომ მუსიკალური ნიჭი გაქვთ?***

— არა, მუსიკალური ნიჭი მართლა არ მაქვს და ეს მუსიკალურ განათლებაზე არ არის დამოკიდებული. შვიდი კი არა, შეიძლება, ორმოცი წელი იარო მუსიკაზე, მაგრამ არაფერი გამოგივიდეს.

***— ფორტეპიანოზე ან გიტარაზე არ უკრავთ?***

— ფორტეპიანოზე ვუკრავ, მაგრამ ძალიან ცუდად.

***— გიტარაზე?***

— გიტარაზე — არა.

***— სუფრაზე რამდენი ჭიქის შემდეგ შეგიძლიათ ამღერდეთ?***

— სუფრაზე საერთოდ არ ვმღერი, რადგან ვიცი, რომ ჩემი მონაცემები ამის საშუალებას არ მაძლევს, თუმცა, შეფასების უნარი ნამდვილად მაქვს.

***— რომელი ჟანრის მუსიკა მოგწონთ?***

— გამორჩეულად რომელიმე ჟანრს არ ვუსმენ. კარგი ყველაფერი მომწონს.

***— მუსიკასთან თქვენი დამოკიდებულება გავარკვიეთ. სპორტი თუ გიყვართ? ბავშვობაში სპორტის რომელიმე სახეობაზე თუ დადიოდით?***

— არ ყოფილა ისე, რომ რომელიმე სახეობაზე მევლოს და ეს ყოფილიყოს ჩემი ძირითადი საქმიანობა. თუმცა, როგორც ბევრი ჩემი თანატოლი, ფეხბურთზეც დავდიოდი, კალათბურთზეც და ცურვაზეც. შეიძლება ითქვას, რომ სპორტული ვიყავი.

***— ახლა თუ მისდევთ სპორტს?***

— ვცდილობ, ვივარჯიშო. კუს ტბაზე დავდივარ, ველოსიპედიც ვიყიდე.




***— რამდენი ხანია, რაც ველოსიპედს ატარებთ?***

— დაახლოებით 6-7 თვე იქნება.

***— მერე, მანქანაზე უარი თქვით?***

— არა, მანქანაზე უარი არ მითქვამს და ისევ ისე ვატარებ. უბრალოდ, ველოსიპედი ჩემთვის ფიზიკური დატვირთვის საშუალება და ვარჯიშია. ველოსიპედი ვარჯიშის მიზნით ვიყიდე და არა ტრანსპორტისთვის. თუმცა, მე მივესალმები იმას, რომ ველოსიპედი სატრანსპორტო საშუალებადაც იქნეს გამოყენებული. სხვათა შორის, ამისთვის თბილისში უკვე ინფრასტრუქტურაც იქმნება და მიმაჩნია, რომ ამ ტენდენციის დანერგვა ძალიან კარგი იქნება. მე ვაკის პარკი უკვე ათვისებული მაქვს.

***— ველოსიპედის ტარებისას რაიმე მარცხი ხომ არ მოგსვლიათ?***

— ამ სიბერეში — არა, მაგრამ ბავშვობაში ველოსიპედიდანაც ბევრჯერ გადმოვვარდნილვარ, ხელიც დამიწვავს და ა.შ.

***— ხელი როგორ დაიწვით?***

— მოტოციკლეტის ძრავა ძალიან ცხელდება და, რომ გადმოვვარდი, ხელი დამედო და მაშინ დავიწვი. ნაიარევი ახლაც მაქვს.

***— ეს რამდენი წლისას შეგემთხვათ?***

— თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ვიქნებოდი.

***— გამოდის, რომ ცელქი ბავშვი იყავით.***

— კი, დედიკოს ბიჭი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ არც განსაკუთრებული აგრესიით გამოვირჩეოდი. შეილება ითქვას, რომ ცელქი ვიყავი.

***— ხელის დაწვის გარდა, კიდევ რა შეგმთხვევიათ?***

— ნიკაპი მაქვს სამჯერ გატეხილი და ესეც მემჩნევა. ფეხზე მყესი მაქვს გაწყვეტილი და ა.შ.

***— ნიკაპი ვინ გაგიტეხათ?***

— ერთხელ ფეხბურთის თამაშის დროს გავიტეხე. ერთხელ ტურნიკზე ვიწეოდი და ჩემმა ძმაკაცმა ხელი გამკრა, ჩამოვვარდი, ცუდად დავეცი და მაშინ გავიტეხე.

***— ნაკერები გედოთ?***

— კი.

***— მესამედ როგორ გაიტეხეთ ნიკაპი?***

— მესამედ უკვე ჩემი ბრალი იყო. კიბეებზე ავრბოდი, დავეცი და კიბის ნაპირს ჩამოვარტყი.

***— სახლში?***

— არა, ბიძაჩემის სახლში.

***— ხელი როგორ მოიტეხეთ?***

— ხელი კალათბურთის თამაშის დროს მოვიტეხე.

***— გამოდის, რომ სულ სპორტული ტრავმები გქონიათ მიღებული. მყესი როდის გაგიწყდათ?***

— მყესი — ფეხბურთის თამაშის დროს. ამ ფეხზე კიდევ მაგარი ისტორია ის არის, რომ მე ვიდექი კარისკენ ზურგით, ველოდებოდი, რომ ბურთი მიმელო, შემოვტრიალდი და უცბად ისეთი ტკივილი ვიგრძენი, რომ თითქოს ვიღაცამ ჩამარტყა და ჩავიკეცე. ტკივილისგან ლამის მოვკვდი და ამ დროს ერთი ჩემი ძმაკაცი ყვირის, იტყუება, ჯარიმა არ ყოფილაო. ეს ახალი ამბავია. ბავშვობაში არ მომხდარა.

***— აბა, როდის მოხდა?***

— დაახლოებით სამი წლის ამბავია.

***— ბავშვობაში კლასში „დიმაუშკებს“ და მსგავს რაღაცებს თუ აფეთქებდით ხოლმე?***

— „დიმაუშკები“ კლასში აუფეთქებიათ, უფრო სერიოზული — არაფერი. ჩემს ბავშვობაში ერთი პერიოდი „დიმაუშკები“ მართლა მოდაში იყო. თუმცა, ეს ჩემი გამოგონება არ ყოფილა და არც კლასში აფეთქების იდეა მოდიოდა ჩემგან.

***— სკოლაში მინები თუ ჩაგიმტვრევიათ?***

— შეგნებულად არასოდეს.

***— სკოლიდან „შატალოზე“ სად მიდიოდით?***

— ყველაზე ხშირად თავად სკოლაში.

***— ეს როგორ?***

— გაკვეთილზე არ ვიყავით, მაგრამ სკოლაში ვიყავით და სადღაც ვერთობოდით, სკოლის უკან, ფიზკულტურის დარბაზში და ა.შ.

***— რომელი სკოლა გაქვთ დამთავრებული?***

— 53-ე. ამ სკოლასთან ახლოს იყო ყოფილი კიროვის პარკი, ახლანდელი ვერის ბაღი, კინო „ამირანი“ და ხშირად იქაც მივდიოდით. ფუნიკულიორზეც ვყოფილვართ მთელი კლასი.

***— ქალაქგარეთ?***

— შატალოზე? არ მახსოვს, არა მგონია, ექსკურსიაზე კი ბევრჯერ ვყოფილვართ.

***— თუ ყოფილა ისე, რომ შატალოს დროს ერთი ფილმი რამდენჯერმე გინახავთ?***

— უამრავჯერ. ხშირად ფილმის ყურებისას უცბად დარბაზში სინათლეს ანთებდნენ, მოსწავლეები ვინც ვიყავით, გვიჭერდნენ და მერე მასწავლებლებს ატყობინებდნენ.

***— ამის გამო მშობლებისგან გხვდებოდათ?***

— ნაკლებად.

***— მშობლებისგან ბეჭებში ცოცხი არ მოგხვედრიათ?***

— არა, ასეთი სადისტი მშობლები არ მყოლია. მამა ადრე დამეღუპა, სამი წლის რომ ვიყავი და დედაჩემისგან ასეთი რამ არ მახსოვს.

***— და-ძმები გყავთ?***

— ერთი და მყავს.

***— უფროსი თუ უმცროსი?***

— უფროსი. ჩემზე ორი წლით არის დიდი.

***— დასთან ჩხუბობდით?***

— როგორ არა.

***— მართლა? რაზე ჩხუბობდით?***

— ისეთ არაფერზე. იმასაც ის ჰქონდა, რომ უფროსი იყო და უნდა დამეჯერებინა. მე კი არ ვუჯერებდი და ამაზე.

***— ე.ი. უფროსი რომ იყო, გჩაგრავდათ?***

— რაღაც ასაკამდე, მაგრამ მერე მეც ხომ გავიზარდე.

***— რომელ წლამდე გჩაგრავდათ?***

— ალბათ, ვიდრე სკოლაში შევიდოდი.

***— მერე თქვენ ჩაგრავდით?***

— არა, არ ვჩაგრავდი, მაგრამ თავსაც არ ვაჩაგვრინებდი, თუმცა, ხანდახან კი ვჩაგრავდი.

***— ისეთი შემთხვევები თუ იყო, რომ სხვა სკოლაში წასულიყავით საჩხუბრად ან სკოლას სკოლაზე გეჩხუბათ?***

— ყველაფერი ხდებოდა. ჩხუბის ადგილებიც კი გვქონდა. ახლა რომ მეექვსე გიმნაზიაა, ჩვენ დროს 50-ე სკოლა ერქვა და იმის უკან დიდი თავისუფალი ადგილი იყო, იქ ვჩხუბობდით. ჩხუბის ინიციატორი მე არ ვყოფილვარ. მაგრამ, როდესაც შენი მეგობრები ჩხუბობენ, შენ ისე ვერ გაჩერდები.

***— გოგოს გამო თუ გიჩხუბიათ?***

— ძირითადად გოგოს გამო ვჩხუბობდით. აბა ახლა ისე რა გვაჩხუბებდა.

***— ზაფხულობით რომელ სოფელში მიდიოდით დასასვენებლად?***

— ზაფხულში გურიაში ჩავდიოდი, მამაჩემის დედა გურული იყო და ნათესავები იქ გვყავდა, საჩხერესა და ბათუმში გვყავდა ნათესავები და იქ ჩავდიოდით. უშუალოდ ჩემი სახლი არ მქონია, ნათესავებთან ჩავდიოდი.

***— სოფელში ბავშვები ხილს რომ იპარავდნენ, მათთვის მიგიბაძავთ?***

— ხილს სოფელი არ სჭირდებოდა, ქალაქშიც მშვენივრად ვიპარავდით.

***— სად?***

— სად და ბარნოვისა და პეტრიაშვილის კუთხეში დიდი სახლია, მჟავანაძის სახლს ეძახდნენ, უკან დიდი ეზო ჰქონდა და კარგი ბაღი იდგა. მაშინ იმ ეზოს დაცვა ჰყავდა, იმიტომ რომ ცეკას ხალხი ცხოვრობდა. იქ გადავძვრებოდით და ბაღს ვიპარავდით.

***— მერე, ჯარისკაცები რას აკეთებდნენ?***

— ერთხელ შიში გვაჭამეს, მოვიდნენ, „შტიკნოჟები“ ეკიდათ და გვიყვიროდნენ. კიდევ, ვინც ნიკაპი გამიტეხა, კერძო სახლი ჰქონდა და ბევრი ხილი ედგა, ძირითადად იქ მივდიოდით ხილის საჭმელად.

***— ნიკაპის გატეხვის შემდეგაც დადიოდით მის ეზოში?***

— რა თქმა უნდა. მეგობრები ვიყავით.

***— თქვენი სკოლის მეგობრებიდან რომელიმე დეპუტატი თუ გახდა? ან საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებიდან ვინ არის თქვენი კლასელი?***

— დეპუტატი არავინ არის, უნივერსიტეტის რექტორი სანდრო კვიტაშვილი იყო ჩემი კლასელი, ბავშვობიდან ვმეგობრობდით. ოპერის დირექტორი დათო საყვარელიძე ჩვენი კლასელია, ასევე საზოგადოება კარგად იცნობს მომღერალ ნუცი შანშიაშვილს.

***— სანდრო კვიტაშვილი როგორ სწავლობდა?***

— კარგად.

***— თავიდანვე ეტყობოდა, რომ ჯანდაცვის მინისტრი ან უნივერსიტეტის რექტორი გახდებოდა?***

— ჯანდაცვის მინისტრობა მაშინ ნამდვილად არ გვეგონა, რადგან ბავშვობაში ჯანდაცვის მინისტრი წარმოგვედგინა ასაკიანი, ჰალტუხიანი კაცი. თუმცა, სანდროს დედამამა, ბაბუა სულ სამედიცინო წრიდან იყვნენ. რაც შეეხება უნივერსიტეტს, სანდროს უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე აქვს დამთავრებული.

***— კლასში ვინმე ცუდად რომ გახდებოდა, სანდრო კვიტაშვილი ინიციატივას იჩენდა, რომ დახმარებოდა?***

— ბავშვობაში კი არა, როდესაც სანდრო ჯანდაცვის მინისტრი იყო, მთავრობის სხდომაზე ერთ-ერთი მინისტრი ცუდად გახდა და ყველამ სანდროს შეხედა, სანდრომ უთხრა: მე რას მიყურებთ, სასწრაფოში დარეკეთო. ასე რომ, მინისტრი იმას არ ნიშნავს, რომ მან დიაგნოზი უნდა დაგისვას და გიმკურნალოს.

***— გვერდიგვერდ როდესაც ისხედით, სანდროსგან დავალება გადაგიწერიათ?***

— შეიძლება, თუმცა, კარგად ვსწავლობდი, ცუდი ბავშვი არ ვიყავი.

***— მასწავლებელს კლასიდან გაუგდიხართ?***

— კი.

***— რა დააშავეთ?***

— სიცელქის გამო გამაგდო, ერთი ჩემი კლასელი მასწავლებელმა გააგდო, ეს გავაპროტესტე და მეც მიმაყოლა.

***— საჩუქრებს როდესაც გასცემთ, ეს პროცესი უფრო მოგწონთ, თუ როდესაც იღებთ?***

— ორივე მომწონს. გულახდილად რომ გითხრათ, საჩუქრების მიღება უფრო მირჩევნია. მართალია, „რასაცა გასცემ შენია“, მაგრამ, რომ მიიღებ, ისიც შენია.

***— ბოლოს რა საჩუქარი მიიღეთ?***

— დაბადების დღეზე მივიღე საჩუქრები. ჩემი დისშვილი იყო საზღვარგარეთ წასული და იქიდან ჰალსტუხი ჩამომიტანა.

***— ჰალსტუხების გაკეთება გიყვართ?***

— არა.

***— რატომ არ გიყვართ?***

— იყო პერიოდი, როდესაც ჰალტუხი სულ მეკეთა, ეს ფინანსთა მინისტრის მოადგილეობისას იყო. ახლა, თუ სხდომა არ არის, შეიძლება, რომ თავისუფლად ჩაიცვა. თუ ოფიციალური შეხვედრაა, მაშინ ჰალსტუხი აუცილებლად მიკეთია. კაბინეტშიც მაქვს რამდენიმე სათადარიგო ჰალსტუხი ჩამოკიდებული.

***— საერთოდ ბევრი ჰალსტუხი გაქვთ?***

— ბევრი აღარ მაქვს, გავაჩუქე.

# რუსეთმა ცხინვალის და სოხუმის აღიარებით საბედისწერო შეცდომა დაუშვა

გულიკო ბალა ე

**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ისტორიის დოქტორი ჯემალ გამახარია პასუხს სცემს ისტორიის ჩუს გამყალბებლებს და საუბრობს საქართველოს განუყოფელი კუთხის, აფხაზეთის ისტორიაზე XIX ს. დასაწყისსა და XX საუკუნის 20-30-იან წლებში.**



ჯემალ გამახარიას განცხადებით, „მოსკოვის მიერ საქართველოს კონფლიქტური რეგიონების „დამოუკიდებლობის“ აღიარების შემდეგ, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი თანამდებობის პირები „გაიტაცა“ ამ ტერიტორიების ისტორიამ, უფრო სწორად, ისტორიის გაყალბებამ. მათი მტკიცებით, XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთი ცალკე შევიდა რუსეთის შემადგენლობაში, გასაბჭოების (1921 წ.) შემდგომ პერიოდში კი ვითომ იყო საქართველოსთან თანასწორუფლებიანი რესპუბლიკა, რომელიც მხოლოდ 1931 წელს იოსებ სტალინმა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით შეიყვანა.

ჯემალ გამახარიას თქმით, მოახდინეს რა საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული იგნორირება, კრემლის მესვეურებს მარტო ისტორიული „არგუმენტები“ შერჩათ ხელში აფხაზეთიდან მოსახლეობის 3-4-ის განდევნისა და ამ რეგიონის ოკუპაციის გასამართლებლად.

— ცნობილია, რომ აღმოსავლურქართულ სამეფოსა და რუსეთს შორის 1783 წელს დადებული „მფარველობითი“ ტრაქტატის IV საიდუმლო მუხლი რუსეთს ავალდებულებდა, ხელი შეეწყო ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისათვის მისი ისტორიული ტერიტორიების აღმოსავლეთ საქართველოს მეფეთა ძალაუფლების ქვეშ მოქცევით.

პეტერბურგში იცოდნენ, რომ აფხაზეთი და მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მიწებიც საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის — სამეგრელოს ნაწილს წარმოადგენდნენ.

ამდენად, 1783 წელს ტრაქტატის IV საიდუმლო მუხლი უშუალოდ ეხებოდა ტერიტორიას, როგორც მდინარე ენგურიდან ფსოუმდე, ისე მდინარე ყუბანამდეც კი, რაც თვალნათლივ არის ასახული რუსეთის იმპერიის 1793 წლის კარგად ცნობილ რუკაზე.

1801 წელს რუსეთმა გააუქმა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო და მოახდინა მისი ანექსია. მიტაცებულ ტერიტორიას, რომელსაც ამიერიდან სათავეში რუსი გენერლები ედგნენ, სავსებით მიზანმიმართულად დროებით შეუნარჩუნდა სახელი — საქართველო.

ეს საჭირო იყო იმისათვის, რათა ზემოხსენებული ტრაქტატის IV მუხლის საფუძველზე რუსეთის პროვინციად ქცეული საქართველოსათვის დასავლურქართული მიწებიც მიეერთებინა.

ქართლ-კახეთის უმტკივნეულოდ მიერთების შემდეგ მადამოსულმა რუსეთმა სხვა კუთხეების მიერთებაც დაიწყო. როგორც ჯემალ გამახარია აღნიშნავს, ამ პროცესში ერთ-ერთი პირველი სამეგრელოს სამთავრო იყო.

— ერთ-ერთი პირველი იყო სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი, რომელმაც 1803 წ. დეკემბერში რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ შესვლა ითხოვა, ამასთან საკუთარი ტიტული მან ასე წარმოადგინა: „ოდიშის, ლეჩხუმის, სვანეთის, აფხაზეთისა და უძველესი დროიდან ჩემი წინაპრების საკუთრებაში მყოფი მიწების კანონიერი მფლობელი“.

რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ სამეგრელოს შესვლამ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის ბედიც მალე გადაწყვიტა.

1805 წლის ივლისში სამურზაყანოს (ტერიტორია მდ. ენგურიდან მდ. ღალიძგამდე) მფლობელებმა ცალკე დაიფიცეს (ქართულ ენაზე) რუსეთის იმპერატორისა და სამეგრელოს (რომლის ნაწილიც იყო სამურზაყანო) მთავრის ერთგულებაზე.

1808 წ. ივლისში საკუთრივ აფხაზეთის (მდ. ღალიძგიდან მდ. ბზიფამდე) მთავარი გიორგი შარვაშიძე სამეგრელოს დროებითმა მმართველმა ნინო დადიანმა რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცა, როგორც სამთავრო ოჯახის წევრი, როგორც სამეგრელოს ისტორიული მიწების იმჟამინდელი მფლობელი.

საქართველოს ცალკეული კუთხეების მიერთების პროცესში ერთ-ერთი იყო აფხაზეთიც.

— რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ აფხაზეთის ოფიციალური მიღება 1810 წლის თებერვალში მოხდა, როდესაც იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დააკმაყოფილა აფხაზეთის მთავრის მიერ ქართულ ენაზე შედგენილი და ხელმოწერილი „სათხოვარი პუნქტები“.

იმ დროიდან აფხაზეთი რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს მთავარმართებლებს დაექვემდებარა.

წებელის (და არა წებელდის, რომელიც წებელის რუსული ვარიანტია — გ.ბ.) მფლობელებმაც 1815 წლის ნოემბერში ცალკე მოაწერეს ხელი ქართულ ენაზე შედგენილ ფიცს რუსეთის იმპერატორისა და სამეგრელოს მთავრის (ისტორიულად ამ ტერიტორიის მფლობელის) ერთგულებაზე.

ამრიგად, აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია ნაწილ-ნაწილ შევიდა რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ, როგორც საქართველოს ისტორიული პროვინცია და კვლავ საქართველოს (თუმცა, უკვე არა ბაგრატიონების, არამედ რომანოვების სახელმწიფოს) ნაწილი გახდა, — ამბობს ჯემალ გამახარია.

ჯემალ გამახარია საუბრობს 1921 წელს საქართველოს დაპყრობისა და ამ ვითარებაში აფხაზეთის მდგომარეობაზე.

— 1921 წ. თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისთანავე ქართველმა და აფხაზმა ბოლშევიკებმა აფხაზეთი დროებით საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად (სსრ) გამოაცხადეს და არა საქართველოს სსრ ბოლშევიკურ მთავრობას, არამედ კავკასიის მმართველ რუსეთის კომპარტიის ცკ-ს კავკასიის ბიუროს (ხელმძღვანელი გ. ორჯონიკიძე) დაუმორჩილეს.

ამ ვითარებაშიც აფხაზეთი, ფაქტობრივად, თბილისს ექვემდებარებოდა. 1921 წლის დეკემბერში გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოსა და აფხაზეთს შორის. საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუციის (1922 წ.) მიხედვით, აფხაზეთის სსრ შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში (თავი I,1). ეს დებულება განმეორებულია 1926 წლის აფხაზეთის კონსტიტუციაშიც.

საბჭოთა კავშირის პირველ კონსტიტუციაში (1924 წ.), რომელიც რესპუბლიკების კონსტიტუციებზე მაღლა იდგა, აფხაზეთი მოიხსენიება არა როგორც სსრ, არამედ ავტონომიურ რესპუბლიკად (თავი IV,15). 1931 წ. თებერვალში ეს სახელწოდება შევიდა აფხაზეთის (შემდეგ საქართველოს) კონსტიტუციაშიც.

რეალურად, მოხდა მხოლოდ სახელის გადარქმევა, რომელსაც 1926 წ. კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებამოსილებაზე გავლენა არ მოუხდენია. როგორც 1931 წლამდე, ისე 1931 წ. შემდეგ აფხაზეთი იყო და დარჩა საქართველოს ნაწილად.

ამიტომ განცხადებები, აფხაზეთის „აღიარებით“ ვითომ „ისტორიული სამართლიანობის“ აღდგენის შესახებ, სინამდვილეში ისტორიული უსამართლობის დამკვიდრებას, საქართველოსაგან მისი კუთვნილი ტერიტორიების საბოლოოდ ჩამოცილებას ისახავენ მიზნად.

***— ბატონო ჯემალ, თქვენ საუბრობთ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილ-ნაწილ მიერთებაზე. ე.ი. ეს არის რუსეთის პოლიტიკა — სხვა ქვეყნის თანდათანობითი დაპყრობის პოლიტიკა, რომელსაც ის სხვისი ტერიტორიების „მიერთებისა“ თუ დაპყრობისთვის იყენებს?***

— დიახ, რა თქმა უნდა... ეს არის რუსეთის ჩვეული პოლიტიკა. რა პოლიტიკაც გამოიყენა რუსეთმა მე-18-მე-19 საუკუნეებში, ის პოლიტიკა გაგრძელდა 1992-93 და 2008 წელში. მაშინ ცხვრის ტყავში გაქვეული მოქმედებდა და თანდათანობით იპყრობდა საქართველოს. ამ შემთხვევაში არის ღია აგრესია.

***— მეთოდია განსხვავებული.***

— მეთოდიც და ფორმაც განსხვავებულია.

***— ფაქტობრივად, საიდუმლო მუხლი (რომელიც ჩაიწერა გიორგიევსკის ტრაქტატში) გახდა რუსეთის იმპერიისთვის კარგი დასაყრდენი საქართველოს ტერიტორიების ნაწილ-ნაწილ, უმტკივნეულოდ და უბრძოლველად მისაერთებლად. როგორ ფიქრობთ, მაინც რატომ ვერ განჭვრიტა ერეკლე მეორემ რუსეთის შესაძლო მზაკვრობა და რატომ მოაწერა ხელი ასეთ შეთანხმებას?***

— ძნელია თქმა. სამწუხაროდ, ერეკლე მეორემ ეტყობა კარგად არ იცოდა რუსეთის ისტორია და რუსული იმპერიალისტური ფსიქოლოგია. ამიტომ იფიქრა, რომ ასეთი მუხლის არსებობა ტრაქტატში, საქართველოსათვის იქნებოდა ხელსაყრელი. თქვენ ალბათ მხედველობაში გაქვთ საიდუმლო არტიკული, ანუ მეოთხე არტიკული, სადაც ჩაწერილია, რომ რუსეთი ხელს შეუწყობდა რუსეთის ხელმძღვანელობით საქართველოს ისტორიული ტერიტორიების გაერთიანებას და ამ ტერიტორიებს მიუერთებდა ქართლ-კახეთს. აქ, ერთი შეხედვით, ყველაფერი ძალიან კარგად იყო. ერეკლე მეორისთვის ეს იყო გადამწყვეტი, რომ ხელი მოეწერა ამ ტრაქტატის საიდუმლო მუხლისთვის, მაგრამ რუსეთმა ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ, ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და, საერთოდ, საქართველოს მმართველობა რუსი გენერლების ხელში დატოვა და ამ „საქართველოს“ დაპყრობით, რუსეთს უერთებდა საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ ტერიტორიებს. ეს ტერიტორიები, ძირითადად, თურქეთის მიერ იყო დაპყრობილი და მის გამგებლობაში გახლდათ. ამ ტერიტორიების მიერთებას რუსეთმა საფუძვლად დაუდო მეოთხე საიდუმლო მუხლი. მათ შორის, აფხაზეთიც ამ გზით მიიერთა.

***— ბატონო ჯემალ, ხომ არ არის თვენთვის ცნობილი, 2008 წლის ე.წ. სარკოზი-მედვედევის შეთანხმებაში (რომელსაც სააკაშვილმა მოაწერა ხელი), რაიმე საიდუმლო მუხლი, რომელიც საქართველოს რუსეთის წინაშე რაიმეთი ავალდებულებს და შემდგომში ჩვენს ქვეყანას ძალიან ცუდად წაადგება?***

— ასეთი საიდუმლო მუხლი ჩემთვის უცნობია. ჩვენი აზრით, არანაირი საიდუმლო მიხლი იმ შეთანხმებაში არ არის.

***— თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, ერთი რამ აშკარად თვალში საცემია — საქართველოს ცალკეული კუთხეების მთავრები რიგრიგობით იფიცებენ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. ე.ი. თვითონვე ითხოვენ ყულფში თავის გაყოფას?***

— დიახ, ასე გამოდის. ძალიან არასწორად იმოქმედეს. ერთადერთი, ვინც შეეწინააღმდეგა, იყო სოლომონ მეორე და ისიც გაანადგურეს. ასე რიმ, სხვები, სამწუხაროდ, გონებრივები არ იყვნენ, შეიძლება ცდებოდნენ და სხვა ძალა არ იყო, რომელიც რუსეთის დაპყრობით პოლიტიკას შეეწინააღმდეგებოდა და გახდნენ რუსეთთან დამეგომრებულები. ვფიქრობ, სხვა მთავრებს ჰქონდათ არასწორი პოლიტიკა. ისინიც მხარში უნდა ამოდგომოდნენ სოლომონ მეორეს და ერთობლივად უნდა ებრძოლათ საქართველოს გასათავისუფლებლად. სხვები არ ვიცი, მაგრამ მიხეილ შერვაშიძეს მიუწერია დადიანისთვის, რომ უარი ეთქვათ რუსეთის ქვეშევრდომობაზე დაებრუნებინათ, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ, დადიანმა უარი თქვა და დარჩა პირდაპირი რუსეთის მმართველობა.

***— ფსიქოლოგი არ ბრძანდებით, მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ, რა ფსიქოლოგიური, ისტორიულ-პოლიტიკური ფაქტორიბი უბიძგებდათ ქართველ მთავრებს რუსეთის იმპერიაში საკუთარი ნებით შესულიყვნენ და არ ეფიქრათ დარჩენილი კუთხეების გაერთიანებაზე და ერთიან თავდაცვაზე?***

— ეს კითხვა ვრცელ პასუხს მოითხოვს, მაგრამ მოკლედ გეტყვით — ყველა მთავარს უნდოდა თავის სამთავროში ძალაუფლება შეენარჩუნებინა და ეს მემკვიდრეობით მათ შვილებს გადასცემოდათ, მათაც ჰქონოდათ უფლებები. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ქართული სამთავროებზე ძალიან დიდი ზეწოლა ხორციელდებოდა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ზეწოლა თურქეთის მხრიდან. და ბოლოს, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნეობის ფაქტორი იყო. ერთმორწმუნეობის ფაქტორმა გადაწყვიტა საქართველოს რუსეთთან ყოფნის ბედი. რუსეთი არჩიეს თურქეთს.

***— ისე რუსეთი ერთი წლის განმავლობაში ხომ არ აკეთებდა ამას, წლების განმავლობაში, თანდათან იერთებდა საქართველოს ცალკეულ კუთხეებს. ხომ გამოჩნდა, რომ რუსეთთან კავშირისა და ურთიერთდახმარების პოლიტიკამ არ გაამართლა?***

— კი, მაგრამ ერთხელ თავს რომ შეყოფ ყულფში, მერე იქიდან გათავისუფლება ძნელია. ასე მოუვიდათ ჩვენს მეფე მთავრებს. 40-იან წლებში აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე ცდილობდა დაეყოლიებინა სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი, რომ გამოსულიყვნენ რუსეთის მფარველობიდან. ის გრძნობდა, რით დამთავრდებოდა ყველაფერი, მაგრამ დავით დადიანი ვერ დაითანხმა. მარტო ცხადია, ვერაფერს გახდებოდა. ასე რომ, ალბათ, ხვდებოდნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრებას და ცდილობდნენ ერთგულების დადასტურებით გაეხანგრძლივებინათ სამთავროს არსებობა.

***— ბატონო ჯემალ, ამ გადასახედიდან 2008 წლის მოვლენებს როგორ აფასებთ?***

— რუსეთმა დაუშვა საბედისწერო შეცდომა, როცა აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები აღიარა. ამით რუსეთი დაუპირისპირდა მთელ ცივილიზებულ სამყაროს. რუსეთს, ფაქტობრივად, შემორჩა რამდენიმე ქვეყანა. რუსეთი დარჩა ნაურუს ამარა. არც ერთი ნორმალური სახელმწიფო და ნორმალური ქვეყანა რუსეთს მხარს არ დაუჭერს და არ აღიარებს ოკუპირებულ ტერიტორიებს.

## მერია „თბილისის წყლის“ გაყიდვას უარყოფს

თბილისის საკრებულოს დეპუტატის, უმრავლესობის წევრის გოგი ჩაჩანიძის განცხადებით, „თბილისის წყალი“ არ იყიდება.

აღნიშნული განცხადება ჩაჩანიძემ საკრებულოს ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრის ზურაბ აბაშიძის საპასუხოდ გააკეთა.

მისი თქმით, თბილისის წყალი უკვე სამი წელია კერძო კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ ეკუთვნის და მისი გაყიდვის შესახებ ინფორმაცია აბრუსდულია.

— თბილისის მერია ვერ შეძლებს იმ ობიექტის გაყიდვას, რომელიც უკვე სამი წელია კერძო კომპანიის საკუთრებაა, — განაცხადა ჩაჩანიძემ.

მედიანიუსი

## გილაური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს შეხვდა



12 აგვისტოს მთავრობის კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ნიკა გილაურმა განაცხადა, რომ ეს იყო მეორე სამუშაო შეხვედრა.

— პირველ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ შეიქმნებოდა ოთხი კომისია. დღევანდელ შეხვედრაზე დავამტკიცეთ კომისიის წევრები. შევთანხმდით, რომ ერთად შევიმუშავებთ დებულებებს. დებულებას მთავრობა სექტემბრის დასაწყისში დაამტკიცებს, ხოლო 15 სექტემბერს ოთხივე კომისიის შეხვედრები ჩატარდება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ კომისიების მუშაობა ძალიან შედეგიანი იქნება, — აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

მედიანიუსი

**სერ ელტონ ჰერკულეს ჯონი — გრემის ჯილდოს ექვსგზის მფლობელი და ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოპ-როკ მუსიკოსი, მომღერალი და კომპოზიტორი, რაინდი ბაკალავრი და ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერია.**

# ელტონ ჯონი — გათხოვილი მამა



## ბავშვობა

ელტონ ჯონის ნამდვილი სახელი რეჯინალდ კენეტ დუაიტია. იგი დაიბადა 1947 წლის 25 მარტს ლონდონის ჩრდილოეთ ნაწილში, პინერში. მისმა მშობლებმა, სტენლი და შეილა დუაიტმა შვილს რეჯინალდი დაარქვეს. ჯონი ბავშვობიდან ავლენდა ინტერესს მუსიკის მიმართ, რაშიც ხელი დედამაც შეუწყო. ისინი ხშირად ერთად უკრავდნენ ფორტეპიანოზე, მაგრამ მამა ამის წინააღმდეგი გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ თავად უკრავდა სამეფო საჰაერო ძალების ორკესტრში.

ოთხი წლის ასაკში დუაიტების შვილს უკვე შეეძლო სმენით ნებისმიერი მელოდიის დაკვრა. ჯონი ისმენდა ძველ და პოპულარულ ჩანაწერებს და იმახსოვრებდა ყველაფერს.

12 წლის ასაკში მუსიკის სამეფო აკადემიამ რეჯის შესთავაზა უფასო განათლება. გახარებული რეჯი ყოველ შაბათს დადიოდა აკადემიაში.

13 წლის ასაკში რეჯის მშობლები ერთმანეთს გაეყარნენ, რაც შვილმა ძალიან განიცადა. ამ პერიოდიდან იგი უკვე ატარებდა სათვალეს, რაც, მისივე თქმით, ბადი ჰოლისადმი პატივისცემის ნიშანი იყო. სათვალე კი მომავალში მის ერთ-ერთ ჰობიდ იქცა.

მამისგან განსხვავებით, მისი მამინაცვალი, პროფესიით დეკორატორი, მხარს უჭერდა რეჯის გადაწყვეტილებას, მუსიკას გაჰყოლოდა.

## პირველი წლები სცენაზე

რეჯი სცენაზე პირველად 16 წლის ასაკში გამოვიდა. იგი მღეროდა და უკრავდა ყოველი კვირის ბოლოს და მის გამოსვლებს ყოველთვის ესწრებოდა დედამისი. ამ გამოსვლებში რეჯი იღებდა ერთ ფუნტს და დაგროვებული ფულით ელექტრონული პიანინო შეიძინა.

მალე რეჯიმ სკოლის მოსწავლეებთან, რეი ჩარლზთან და ჯიმი რივზთან ერთად ჩამოაყალიბა ჯგუფი კორვეტი, რომელიც რითმ ენდ ბლუზს უკრავდა. მათ გამოსცეს ორი ფირფიტა, რომლებიც წარუმატებელი გამოდგა.

სკოლა რეჯიმ არ დაამთავრა. მისი მიტოვება მუსიკალურ გამომცემლობა მილსში მუშაობის გამო მოუხდა, მაგრამ ეს სამსახურიც, თავის მხრივ, მხოლოდ იმის გამო დატოვა, რომ ჯგუფთან ერთად საკონცერტო ტურეში უნდა გამგზავრებულიყო.

1967 წელს ჯგუფი კვლავ მოგზაურობდა. ამ პერიოდში რეჯის შეუყვარდა გოგონა, სახელად ლინდა და დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა მისი ყურადღების მიპყრობას. მაგრამ ლინდამ იგი არჩევანის წინაშე დააყენა — ან მე, ან მუსიკაო. რეჯიმ საბოლოოდ მუსიკა აირჩია, მაგრამ სიყვარულში გულგატეხილმა თვითმკვლელობაც კი სცადა.

ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსების კონკურსზე, რომელიც კომპანია ლიბერთი მუზიკმა მოაწყო, რეჯიმ შეასრულა რამდენიმე ცნობილი სიმღერა, მაგრამ წარმატებამ გვერდი აუარა. თუმცა, რეი უილიამსმა, კონკურსის ორგანიზატორმა, მას აჩუქა ერთი ახალგაზრდა პოეტის, ბერნი ტოპინის ლექსები.

უილიამსმა რეჯის ასევე გააცნო დიკ ჯეიმსი, ერთ-ერთ ხმისჩამწერი სტუდიის მეპატრონე. მას დაევალა რეჯის პირველი სიმღერის ჩაწერა. აქვე საფუძველი დაედო რეჯისა და ბერნი ტოპინის თანამშრომლობას. დიკ ჯეიმსი დაინტერესდა რეჯის სიმღერებით, ხოლო ტოპინი საბოლოოდ გადასახლდა რეჯის სახლში.

თავდაპირველად რეჯი და ბერნი დაკვეთით მუშაობდნენ, მაგრამ მოგვიანებით დიკ ჯეიმსი დათანხმდა რეჯის პირადი სიმღერის ალბომის გამოცემას. ამასთან, რეჯის შესთავაზეს სასცენო სახელის აღება და მან დუაიტ ელტონ ჯონი აირჩია.

მისი პირველი სიმღერა-სინგლი გამოიცა 1968 წლის მარტში, მაგრამ წარმატება კვლავ შორს იყო — ვინაიდან ელტონი თავს თავისუფლად ვერ გრძნობდა და დიკ ჯეიმსის ზემოქმედებით მას ეს თავისუფლება ნამდვილად აკლდა.

საბოლოოდ ისე მოხდა, რომ მუსიკალური გამომცემლობის ერთ-ერთმა უფროსმა, სტივ ბრაუნმა, დაითანხმა დიკ ჯეიმსი, რომ ელტონს მეტი იმპროვიზაციის საშუალებას მისცემდა. ამის შემდეგ ელტონს ნამდვილი წარმატება ეწვია.

## წარმატება და წარუმატებლობა

დამწყები ინგლისელი მუსიკოსით დაინტერესდნენ ამერიკაში და მალევე იგი მიიწვიეს მცირე ტურის ფარგლებში. აშშ-ს 1970 წლის სექტემბერში ეწვია, სადაც დიდი პატივისცემით მიიღეს. კლუბ „ტრუბადურში“ მუსიკის სამყაროსთან დაკავშირებული ბევრი ცნობილი ადამიანი შეიკრიბა, ხოლო ელტონის კონცერტებმა სამი კვირის განმავლობაში სრული ანშლაგებით ჩაიარა.

ამერიკაში თბილი მიღების შემდეგ ელტონი ბრიტანეთში დაბრუნდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ამერიკაში მეტი პოპულარობა ელოდა და მალევე ისევ შტატებს მიაშურა.

1970 წელს ელტონმა და მისმა ბენდმა, რომელშიც შედიოდნენ ნაიჯელ ოლსონი (დასარტყამი ინსტრუმენტები) და დი მიურეი (ბას გიტარა), ჩაწერეს როგორც ელტონის მეორე სტუდიური ალბომი, ასევე მუსიკა ფილმისათვის „მეგობრები“. ამას მოჰყვა ელტონის კიდევ ერთი სტუდიური ალბომი.

1971 წელს გამოიცა ელტონის პირველი საკონცერტო დისკი, 17-11-70, რომელშიც შეტანილი იქნა ნიუ იორკში ჩატარებული კონცერტის ჩანაწერი. საგულისხმოა, რომ დისკს დიდი წარმატება ჰქონდა, რასაც დაერთო წინასწარ გამოცემული ბუტლეგის წარმატებაც — ეს უკანასკნელი არალეგალურად გავრცელდა ოფიციალურ რელიზამდე რამდენიმე კვირით ადრე და შეიცავდა ყველა სიმღერას კონცერტიდან.

1972 წელს გამოვიდა ელტონის ერთ-ერთი წარმატებული ალბომი. ამ პერიოდიდან ელტონის ბენდი დაკომპლექტდა იმ მუსიკოსებით, რომლებიც დღემდე მუშაობენ მასთან, ხოლო მუსიკოსის სიმღერებში ჩამოყალიბდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ჰარმონიები.

1972 წელს ასევე გამოვიდა კიდევ ერთი სტუდიური დისკი, ელტონის პირველი ამერიკული ალბომი, რომელიც ხუთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა ჩარტების სათავეში.

1972 წელს ელტონმა სასცენო სახელად საბოლოოდ აიღო ელტონ ჰერკულეს ჯონი. ამავე პერიოდში მან შეიძინა მცირე სახლი ლონდონის გარეუბანში.

ამავე პერიოდში მან დაუკრა ჯონ ლენონის რამდენიმე სიმღერა, რამაც საკუთარი კვალი



დატოვა ელტონის შემოქმედებაზე. იგი არასოდეს უარყოფა „ბითლზის“ მუსიკისადმი სიმპათიებს, ამიტომ რამდენიმე სიმღერის საკუთარი ვერსიაც ჩაწერა.

1974 წელს ელტონმა შეიძინა სახლი ბერკშირის საგრაფოში და რამდენიმე სახლი ლოს ანჯელესში, ასევე თვითმფრინავი საკონცერტო მოგზაურობისათვის.

1975 წელს გამოვიდა ელტონის მორიგი სტუდიური ალბომი, რომელიც ავტობიოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს.

შემდეგი ალბომი ავტომატურად მოხვდა წარმატების ჩარტებში, თუმცა კრიტიკოსებმა და მოყვარულებმა ნაკლებად მოიწონეს მასში შეტანილი მასალა. ელტონის კომერციულ წარმატებას ხელს უწყობდა მხოლოდ მისი სასცენო იმიჯი. კონცერტებისას იგი ხშირად იცვლიდა კოსტიუმებს, გამოდიოდა სხვადასხვა უცნაური სახით — ატარებდა ბუმბულებს, დონალ დაკის, მშვიდობის ქანდაკებისა თუ მოცარტის ჩაცმულობას.

1975 წელს კლუბ „ტრუბადურში“ გამართული პირველი კონცერტის ხუთი წლის თავზე მან ამავე კლუბში ორი საიუბილეო კონცერტი გამართა.

1976 წელს ჟურნალ „როლინგ სთოუნში“ ელტონმა პირველად ისაუბრა თავის ბისექსუალურ ორიენტაციაზე, რამაც დიდი სკანდალი გამოიწვია.

1977 წელს ელტონმა დროებით დატოვა მუსიკალური სცენა, ბერნი ტოპინმა კი დაიწყო სხვა მუსიკოსებთან თანამშრომლობა. ბევრი ადამიანი თვლიდა, რომ ეს გამოიწვია ელტონის გულახდილმა ინტერვიუმ „როლინგ სთოუნში“.

80-იანი წლები

1979 წელს ჯონი და ტოპინი კვლავ გაერთიანდნენ. ამ პერიოდში ელტონი ტექსტების სხვა ავტორებთანაც მუშაობდა. 1980 წლის 30 სექტემბერს ნიუ იორკის ცენტრალურ პარკში გაიმართა უფასო კონცერტი 400.000 მაყურებ-



ლისათვის. საგულისხმოა, რომ იქვე ახლოს მდებარეობდა ჯონ ლენონის საცხოვრებელი ბინაც, საიდანაც მუსიკოსი უსმენდა კოლეგის კონცერტს. სამი თვის შემდეგ ლენონი მოკლეს ამ შენობასთან და ელტონმა მას 1982 წელს ჰიტი მიუძღვნა, ხოლო მალევე კონცერტზე, რომელიც მედისონ სკვერზე გაიმართა, ელტონს შეუერთდნენ ჯონ ლენონის ქვრივი იოკო ონო და შვილი შონ ონო ლენონი, რომელიც ელტონის ნათლულია.

ამავე პერიოდში ელტონის ცხოვრებამ ცვლილებები განიცადა. ელტონი დაქორწინდა ხმის ინჟინერ რენატა ბლაუელზე, რომელიც მის ალბომებზე მუშაობდა.

1986 წელს ავსტრალიური ტურის დროს ელტონმა დაკარგა ხმა და მას დასჭირდა სასწრაფო ოპერაცია. მან განაგრძო ალბომების ჩაწერა, მაგრამ წლების განმავლობაში კოკაინისა და ალკოჰოლის მიღებამ მაინც შედეგი გამოიღო, რაც მის მორიგ ალბომზე მუშაობისას გამოვლინდა.

1987 წელს ელტონმა მოიგო საქმე გაზეთ „სანის“ წინააღმდეგ, სადაც დაიწერა სტატია ელტონისა და არასრულწლოვანის სექსუალურ ურთიერთობაზე.

1988 წელს მან მოაწყო ხუთდღიანი კონცერტები ნიუ იორკის მედისონ სკვერზე, მოგვიანებით კი „სოთბის“ აუქციონზე გაიყიდა ელტონის ბევრი ტანისამოსი თუ სხვა აქსესუარი, რითაც მან დაასრულა თეატრალიზებული სანახაობების პერიოდი თავის შემოქმედებაში.

1989 წელი ელტონ ჯონს მთლიანად ჩაუვარდა და იგი მომღერალმა მოგვიანებით თავის ცხოვრებაში ყველაზე ცუდ პერიოდად დაასახელა.

## 90-იანი წლები

ამ პერიოდში ჯონი მხარს უჭერდა რაიან უაიტს, შიდსით დაავადებულ ბიჭუნას ინდიანას შტატიდან. 1990 წლამდე იგი ფინანსურად ეხმარებოდა ბიჭუნას ოჯახს. 1990 წელს ჯონმა, მეგობრების მითითებით, გაიარა ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე მკურნალობის კურსი.

1991 წელს გამოვიდა ფილმი „ორი ოთახი“, რომელშიც მოთხრობილი იყო ბერნისა და ელტონის თანამშრომლობის შესახებ.

1992 წელს ელტონ ჯონმა ჩამოაყალიბა შიდსთან ბრძოლის საკუთარი ფონდი. მან ასევე გამოაცხადა, რომ აშშ-ში თავისი სინგლების მომავალი გაყიდვებიდან შემოსული თანხების ნაწილს გადარიცხავს ამ ფონდში და ბრიტანეთში, შიდსის კვლევის ცენტრში. იმავე წელს მან გამოუშვა მორიგი სტუდიური დისკი, ასევე მონაწილეობა მიიღო ფრედი მერკურისადმი მიძღვნილ კონცერტში, უემბლის სტადიონზე, სადაც ასევე ბევრი სხვა ცნობილი მუსიკოსი გამოდიოდა.

1992 წლის მტვ-ს მუსიკალური ვიდეოების დაჯილდოებაზე ელტონმა ჯგუფ „განზ ენ როუზისთან“ ერთად შეასრულა მათი პოპულარული სიმღერა „ნოემბრის წვიმა“. შემდეგ წელს მან გამოსცა ცნობილ მუსიკოსებთან ერთად ჩაწერილი დუეტების ალბომი. უდიდესი წარმატება მოიპოვა მისმა 1994 წლის ნამუშევარმა — მუსიკამ კომპანია „დისნეის“ ანიმაციური ფილმისათვის „მეფე ლომი“. ეს დისკი გაიყიდა 15 მილიონი ასლის ოდენობით და ალმასის სტატუსი შეიძინა.

1994 წელს ელტონ ჯონი შეყვანილ იქნა როკ ენ როლის დიდების დარბაზში. მანამდე, 1992 წელს, ის და ბერნი ტოპინი უკვე შეიყვანეს სიმღერის ავტორთა დიდების დარბაზში. 1995 წელს ელტონ ჯონს მიენიჭა ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კომანდორის წოდება.

1995 წელს გამოვიდა მუსიკოსის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სტუდიური დისკი, „გამოშვებულია ინგლისში“.

1997 წელი მუსიკოსისათვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა. თუ წლის პირველ ნახევარში იგი საკუთარ 50 წლის იუბილეზე ლუი მე-14-ის კოსტიუმში გამოწყობილი გამოჩნდა და კარგი დროც გაატარა, წლის ბოლოს დაკარგა ორი უახლოესი მეგობარი — ჯანი ვერსაჩე და პრინცესა დაიანა.

## 2000-იანი წლები

2000 წელს ჯონი და ტიმ რაისი კვლავ გაერთიანდნენ. მათ დაწერეს სიმღერები კომპანია „დრეამ ვორკის“ ანიმაციური ფილმისათვის „გზა ელდორადოსკენ“. ათწლეულის დასაწყისი ასევე აღინიშნა ცოცხალი ალბომის გამოცემით, რომელიც ნიუ იორკში ჩაიწერა.

2005 წელს ლი ჰოლთან თანამშრომლობით ელტონმა მოამზადა კიდევ ერთი მიუზიკლი, „ბილი ელიოტი“, ასევე შექმნა ენ რაისის ვამპირულ რომანებზე დაფუძნებული მიუზიკლი „ლესტატი“.

2006 წელს უოლტ დისნეის კომპანიამ ელტონ ჯონს მიანიჭა დისნეის ლეგენდის წოდება იმ დიდი წვლილის გამო, რომელიც მან შეიტანა კომპანიის მიერ წარმოებული ფილმების ისტორიაში.

2007 წლის მარტში შედგა ელტონ ჯონის კიდევ ერთი დიდი კონცერტი ნიუ იორკში, რომელიც მისი 60 წლის იუბილეს მიეძღვნა, ხოლო 17 სხვადასხვა ქვეყანაში გამოიცა მისი წარმატებული სიმღერების კრებული.

2006 წელს მან ჟურნალ „როლინგ სთოუნს“ განუცხადა, რომ აპირებს ჰიპ-ჰოპის ჟანრშიც ექსპერიმენტების ჩატარებას — ფარელ უილიამსის, ტიმბალენდის, სნუპ დოგისა და სხვების მონაწილეობით.

უკანასკნელი წლების მანძილზე მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია მულტიმედიურ-თეატრალიზებული სანახაობა მისი ცნობილი სიმღერების თანხლებით.

## პირადი ცხოვრება

როგორც უკვე გითხარით, 1976 წელს მან თავისი ბისექსუალური ორიენტაცია აღიარა. 1984 წელს რენატა ბლაუელზე დაქორწინდა, რომელთანაც 4 წელი იცხოვრა და შემდეგ წყვილი გაიყარა. მალევე ელტონმა უფრო სენსაციური განცხადება გააკეთა — მან აღიარა, რომ უფრო ჰომოსექსუალისტია, ვიდრე ბისექსუალი. სწორედ ამ პერიოდში ელტონი განსაკუთრებით მიეძალა ნარკოტიკებსა და ალკოჰოლს. მან არაერთი კურსი გაიარა, რათა ნარკოტიკებს დახსნოდა. თუმცა „მშველელად“ მომავალი ქმარი დევიდ ფიორნიში მოევლინა, რომელმაც სრულიად დაავიწყა ნარკოტიკებიცა და ალკოჰოლიც.

2004 წელს ბრიტანეთში გამოიცა კანონი ერთი სქესის წყვილთა ქორწინებაზე და ელტონმა პირველმა ისარგებლა ამით. 2005 წლის 21 დეკემბერს ჯონმა და დევიდმა საქორწინო ხელშეკრულება გააფორმეს. უინძორში გამართულ ცერემონიალზე მიწვეული მხოლოდ უახლოესი მეგობრები და ახლო ნათესავები იყვნენ. ცერემონიალზე პრესა არ დაუშვეს. სამაგიეროდ, სუფრა 700-კაციანი იყო, სადაც ცნობილი პიროვნებებიდან ბრაიან მეი, ელიზაბეტ ჰერლი და ოზი ოზბორნი გამოირჩეოდნენ.

2009 წელს წყვილი ცდილობდა, უკრაინული ინტერნატიდან შვილი აეყვანათ, მაგრამ ამის უფლება არ მისცეს, რადგან უკრაინაში ერთი სქესის ქორწინებას არ ცნობენ.

2010 წელს ელტონი და დევიდი, როგორც იქნა, მამები გახდნენ — სუროგატი დედისგან მათ ვაჟი შეეძინათ, რომელსაც ზახარი ჯეკსონ ლევონ ფერნიშ ჯონი დაარქვეს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ანდრეი კირილენკო: — ნაკრებში დაბრუნება სასიამოვნოა

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე რუსეთი იქნება. დევიდ ბლატის შეგირდები გამალებით ემზადებიან მოახლოებული ტურნირისთვის და საკონტროლო მატჩებს მართავენ. უნდა ითქვას, საკმაოდ წარმატებითაც — ანდრეი კირილენკოთი გაძლიერებულმა რუსებმა მომავალი ჩემპიონატის მასპინძელი და ერთ-ერთი ფავორიტი ლიტვის ნაკრები იოლად, 91:76 დაამარცხეს.

კირილენკოს ნაკრებში 2008 წლის შემდეგ არ უთამაშია და მისი დაბრუნება შედეგიანი გამოდგა — 17 ქულა, 7 მოხსნა, 3 ჩაჭრა...

აქედან გამომდინარე, ჩვენი უმთავრესი მიზანი სწორედ მისი განეიტრალება იქნება.

მანამდე კი კირილენკომ რუსულ მედიას ინტერვიუ მისცა.

**ანდრეი კირილენკო:**

— ლიტველებთან მატჩში ძალიან ბევრი იყო დამოკიდებული ეფექტურ გუნდურ თამაშზე. იყო რამდენიმე ეპიზოდი, როდესაც ვალანჩიუნასი უყურადღებოდ დავტოვეთ და იოლი ბურთები ჩაგვიგდო, მაგრამ როგორც კი დაცვაში ყურადღებით ვთამაშობდით, ყველაფერი თავის ადგილზე იდგა. მართალია, მატჩის ბოლოს დაღლა დაგვეტყო და თამაშზე კონტროლი დავკარგეთ, მაგრამ მომზადების ამ ეტაპზე ეს სავსებით ნორმალურია.

***— როგორი განცდა გაქვთ ნაკრებში სამწლიანი პაუზის შემდეგ თამაშით?***

— ძალიან სასიამოვნოა საკუთარი გულშემატკივრის წინაშე თამაში. ეს მომენტი უკვე დავიწყებულიც კი მქონდა. ისინი მართლაც მხურვალედ გვქომაგობდნენ და ჩვენ თამაშში ნაპერწკალი შეგვქონდათ.

***— ლიტველებთან თქვენ ხან მძიმე ფორვარდის, ხანაც ცენტრის პოზიციაზე თამაშობდით. გაგიჭირდათ?***

— 7 წლის მანძილზე უკვე ხუთივე პოზიციაზე თამაშს მივეჩვიე. ასე რომ, ჩემთვის კალათბურთში არანაირი საიდუმლო არ არსებობს. თუმცა, ყველაფერი მეტოქეზეა დამოკიდებული. ლიტველებს მაღალი მოძრავი კალათბურთელები ჰყავთ, რომელთაც სამქულიანის სროლაც შეუძლიათ. მართალია, ფიზიკურად ისეთი ძლიერები არ არიან, როგორიც მაგალითად ტიმოფეი მოზგოვია, ამიტომ მათთან მეოთხე ნომრად თამაში უფრო ადვილია. თუ მათ ისეთივე მძლავრი ცენტრი ეყოლებოდათ, როგორიც შაკილ ონილია, მაშინ მას მარტო მოზგოვი თუ გაუწევდა წინააღმდეგობას.



***— ნბა-ში ლოკაუტია, თქვენ კი ჯერ ახალი გუნდი არ მოგიძებნიათ. არის საუბარი, რომ სანამ ნბა-ში სიტუაცია დარეგულირდება, კარიერს რუსეთში გააგრძელებთ.***

— ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ჩემი გულშემატკივრების წინაშე ვითამაშო. ეს ლიველებთან მატჩამაც დაამტკიცა. ჯერ 30 წლის ვარ და თავს კარგ ფორმაში ვგრძნობ. ალბათ, დენტი კიდევ 3-4 წელი მეყოფა. თუ რუსეთში ვითამაშებ, პრიორიტეტი ცსკას და სანკტ□პეტერბურგის „სპარტაკს“ ექნება, სადაც ნბა-ში წასვლამდე ვთამაშობდი. რუსეთის ჩემპიონატის ყველა გუნდს ვცემ პატივს და ყველას ხელმძღვანელობასთან საუცხოო ურთიერთობა მაქვს, მაგრამ არალოგიკური იქნებოდა, თუ „ხიმკიში“, „უნიქსში“, ანაც „ლადივასტოკში“ ვითამაშებდი.

***— და მაინც რომელ ვარიანტს უფრო მიანიჭებდით უპირატესობას — „ცსკას“ თუ „სპარტაკს“?***

— სიმართლე გითხრათ, ახლა მთლიანად ნაკრებზე ვარ კონცენტრირებული და საერთოდ არ ვფიქრობ, სად ვითამაშებ მომავალ სეზონს. მე მყავს აგენტი და როდესაც მეტყვის, რომ ყველაფერი მოგვარებულია, ჩემი პასუხი მარტივი იქნება — ოკეი!

***— ნაკრების მწვრთნელმა დევიდ ბლატმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ წელს გუნდი ფორმის აკრეფისას გრაფიკს უსწრებს. თავად რომელი ნაკრები უფრო მოგწონთ — დღევანდელი თუ 2007 წელს ევროპის ჩემპიონები?***

— ჯერ 4 წლის წინანდელი ნაკრები უფრო მომწონს, იმიტომ, რომ მათ უკვე მოიგეს მედლები, ახლანდელს კი ჯერ არც დაუწყია ევროპის ჩემპიონატზე თამაში.

***— ლიტველებში მატჩში ძალიან მოსაწონი იყო დაცვაში აგრესიული თამაში.***

— როგორ საოცრადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მეც მომეწონა... ვფიქრობ, ეს იქნება ჩვენი სავიზიტო ბარათი ევროპის ჩემპიონატზე. ჩვენ ყველა ვარჯიშზე ვმუშაობთ, რომ დაცვითი თამაში აგრესიული გახდეს, სულ კონტროლი გვქონდეს მეტოქეზე და მათი კალათბურთელები ადგილზე მივახრჩოთ, რათა გაუჭირდეთ ზუსტი პასის გაკეთება და ბურთის კონტროლი.

***— ლიტვის ნაკრებიდან ვის გამოყოფდით?***

— ახლა ძალიან ძნელია ვინმეს გამორჩევა. თუმცა, პირადად ძალიან მომეწონა ვალანჩიუნასი, რომელიც წელს დრაფტზე მეხუთე ნომრად აირჩიეს. ფიზიკურად მშვენიერ ფორმაშია და თუ მუშაობას გააგრძელებს, ნამდვილად კარგი მომავალი აქვს.

***— თავად როგორ შეეგუეთ ნაკრებთან ერთად მუშაობას?***

— ამჯერად ძალიან მალე. სლოვენიური შეკრება ძალიან სასარგებლო იყო. უკვე ვიცოდი, რომ გუნდთან ერთად მთებში უნდა ვოყფილიყავი და კონდიციები გამეუმჯობესებინა. ამ შეკრების შემდეგ თავი მშვენივრად ვიგრძენი როგორც ფიზიკურად, ისე სათამაშო სიტუაციებში.

***— როგორ უყურებთ იმ ფაქტს, რომ გუნდში მრავლად არიან ახალგაზრდა კალათბურთელები?***

— ისე გამოდის, რომ ყველაზე ბებერი ვარ გუნდში... ხანდახან მართლა ვფიქრობ, რომ კიდევ 2-3 ვეტერანი კალათბურთელია საჭირო, რათა კონკრეტულ მომენტში თავისი სიტყვა თქვას, დააწყნაროს, დაამშვიდოს გუნდი და დამუშავებული კომბინაცია, ბოლომდე მიიყვანოს. მეორე მხრივ, ახალგაზრდებს მეტი მონდომება და სურვილი აქვთ მოედანზე.

# ტიმ ვიზე: მეკარეობა რთული საქმეა

„ვერდერმა“ გასული სეზონი საშინლად ჩაატარა. ვერც მოსამზადებელ შეკრებაზე გამოიყურებოდა რიგიანად და გერმანიის თასიდანაც გავარდა. აქედან გამომდინარე, ბრემენში ახალი სეზონის წინ ყველა პესიმისტურად იყო განწყობილი, მაგრამ მოულოდნელად „მუსიკოსებმა“ პირველ ტურში „კაიზერსლაუტერნის“ 2:0 დაამარცხეს და გულშემატკივარს ოპტიმიზმი დაუბრუნეს.

ამ ფაქტმა განსაკუთრებით კარგად იმოქმედა 29 წლის მეკარე ტიმ ვიზეზე, რომელმაც გერმანულ მედიასთან საინტერესოდ ისაუბრა.

***— ბუნდესლიგის პირველ ტურში „ვერდერმაც“ მშვენივრად ითამაშა და თქვენც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეთ. მანუელ ნოიერმა კი, რომელიც გერმანიის ნაკრებში თქვენი კონკურენტია, მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ სამარცხვინო შეცდომა დაუშვა, რის გამოც „ბაიერნმა“ წააგო. შეგეცოდათ მანუელი?***

— არა, რადგან მეკარის ბედი ასეთია, შეცდომის, მით უმეტეს საბედისწერო შეცდომის დაშვების უფლება არავის აქვს. თუ შეცდომა მოგივა, წარუმატებლობას ყველა შენ გაბრალებს, რადგან მეკარის შეცდომა ყოველთვის ძალიან თვალსაჩინოა და ნებისმიერი შეცდომა გუნდს ძალიან ძვირად უჯდება. მეკარეობას ამ კუთხით თუ შევხედავთ, ძალიან რთული საქმეა. ის ან გმირია, ანაც იდიოტი — ჩვენს პროფესიაში შუალედი არ არსებობს.

***— თქვენთვის ორივე განცდა ნაცნობი იქნება.***

— რა თქმა უნდა, მე ხომ საკმარისად გამოცდილი ვარ და უკვე ფაქტობრივად ყველაფერი ვნახე. 2006 წელს, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, ტურინის „იუვენტუსთან“ მეც დაახლოებით ასეთი რამ დამემართა და იმ შეცდომის გამო „ვერდერი“ ლიგიდან გავარდა. არადა, კარგად მახსოვს, ტურინულ გრანდს ორივე თამაშში ვაჯობეთ და ლოგიკურად, მეოთხედფინალში ჩვენ უნდა გავსულიყავით. მეკარე ყოველთვის დიდი წნეხის ქვეშაა მოქცეული და საკმარისია, ასეთი საბედისწერო შეცდომა ზედიზედ რამდენჯერმე მოგივიდეს, რომ შენს კარიერაში პროგრესი უნდა გამორიცხო. მაქსიმუმ იმ დონეზეც რომ დარჩე, დიდი მიღწევა იქნება. უმეტეს შემთხვევაში კი, რეგრესს განიცდიან ხოლმე და მოგვიანებით ასეთ მეკარეს მხოლოდ უფრო სუსტ გუნდში თუ მიიღებენ. ეს ყველაფერი წნეხის ბრალია — მეკარე ყოველთვის ერთია და მას მოედანზე მყოფი ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ დააზღვევს. აი, საყრდენი ნახევარმცველის დაზღვევა ცენტრალურ მცველსაც შეუძლია და ზოგ შემთხვევაში თავდამსხმელსაც, მარცხენა მცველს მარცხენა ნახევარმცველი დააზღვევს, ცენტრფორვარდებიც ჩამოდიან ხოლმე საკუთარ საჯარიმოში, რათა დაეხმარონ მცველებს, რომლებიც ისედაც უმეტესად ოთხნი არიან. მეკარეები კი ყოველთვის მარტონი ვართ.

***— „ბაიერნის“ გულშემატკივრების გარკვეული ნაწილი დღემდე ნოიერის წინააღმდეგია. რეკორდმაისტერის ულტრასები მანუელს ვერ ეგუებიან, რაც მასზე ზეწოლის სიმძიმეს ზრდის. ფანების პროტესტი მეკარეს უფრო მეტად ანერვიულებს და თავდაჯერებას აკლებს, ასეა?***

— ცხადია. თუ საკუთარი ფანები გისტვენენ, ეჭვის თვალით გიყურებენ და ხვდები, რომ გულზე არ ეხატები, ეს შენს მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს და შეცდომების დაშვების ალბათობასაც ზრდის. ზოგადად, მანუელმა ძალიან ბევრი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ულტრასები შეურიგდნენ. ვაღიარებ: ნოიერი უმძიმეს მდგომარეობაშია, მაგრამ თუ ამ წნეხს გაუძლო და შტორმი გადაიტანა, მერე მისგან მართლა დადგება მსოფლიოში საუკეთესო მეკარე. ჩვენი პროფესიისთვის ყველაზე მთავარი ხომ თავდაჯერებაა. შესაძლოა, საუკეთესო რეაქცია არ გქონდეს, მაგრამ მაღალ დონეს თავდაჯერება მიგაღწევინებს.

***— ნოიერის შეცდომა ხომ არ გაიმედებთ, რომ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე იქნებით?***

— არა, ასე არ ვფიქრობ. რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ბუნდესგუნდის კარი მე დავიცვა და ვფიქრობ, ამას ძალიან კარგადაც შევძლებდი, მაგრამ მანუელი ისედაც მძიმე წნეხის ქვეშაა მოქცეული და ჩემგან დამატება აღარ სჭირდება. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ „ვერდერის“ რიგებში ყოველთვის მაღალ დონეზე უნდა ვითამაშო და სტაბილურად გამოვიყურებოდე. ეს კი ნაკრებში მიწვევაში შემიწყობს ხელს. დანარჩენი კი მწვრთნელის, იოახიმ ლიოვის გადასაწყვეტია. რაც არ უნდა ვილაპარაკო, ყველაფერი ხომ მაინც ისე იქნება, როგორც მწვრთნელი იტყვის, ლაპარაკით და გრძელი ენით კი პირიქით, შეიძლება საქმე გავიფუჭო.

***— ამ ბოლო დროს ექსპერტები ძალიან აქებენ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მეკარე მარკ-ანდრე ტერ შტეგენს და „ჰანოვერის“ კიპერ რონრობერტ ცილერს. ორივე მათგანი ძალიან ახალგაზრდა და პერსპექტიულია. თქვენზე კი აღარავინ საუბრობს. აღარ გაფასებენ?***

— ჩემი შესაძლებლობების შესახებ ისედაც ყველამ ყველაფერი იცის. ქება სულაც არ მჭირდება, მათ ასაკში რომ ვიყავი, მე უფრო მეტს მაქებდნენ. რამდენი მატჩი აქვთ ჩატარებული ტერ შტეგენს და ცილერს ბუნდესლიგაში? 5? 15? არც ვიცი. მე ბუნდესლიგაში 250 შეხვედრა მაქვს ჩატარებული და ეს რიცხვი ყველაფერზე ნათლად მეტყველებს. გარდა თავდაჯერებისა, მეკარისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გამოცდილებაც. ჩემნაირ კარიერაზე კი ბევრი მეკარე ოცნებობს.

***— „ვერდერთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე გაქვთ გაფორმებული. „ბილდის“ კოლუმნისტმა, მარიო ბასლერმა თქვა, დარწმუნებული ვარ, რომ ვიზე გაისად „შალკეში“ გადავაო.***

— ვნახოთ, ვნახოთ... გელზენკირხენული კლუბი მართლაც იყო დაინტერესებული, მაგრამ მე მათთან საქმე არ მაქვს, რადგან ბრემენში კონტრაქტი არ ამოწურულა. როგორც ვიცი, ჩემი აგენტი როჯერ ვიტმანი „ვერდერის“ სპორტულ დირექტორ კლაუს ალოფსს უკვე ესაუბრა. წლის ბოლოს გადაწყვეტილებასაც მივიღებთ — შეიძლება ახალი კონტრაქტი გავაფორმო. თუ ასე არ მოხდა, ცხადია, სხვაგან წავალ.

# ჯოვანი ტრაპატონი: — ირლანდია მუნდიალზე საფრანგეთზე უფრო ღირსეულად წარდგებოდა

ირლანდიის ეროვნული ნაკრების იტალიელი მთავარი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული თავკაცია. ის მაინც რჩება იტალიელი ჟურნალისტების თვალთახედვის არეში და ხშირადაც ესაუბრებიან.

***— იტალიურ ფეხბურთს კრიზისის პერიოდი უდგას?***

— ჩვენი სამშობლო მართლაც რთულ მდგომარეობაშია. ამის მიუხედავად, პელეგრინიმ 2 ოქროს მედალი მოიპოვა ოლიმპიადაზე, რაც ოპტიმისტურად განმაწყობს. ჩვენ სპორტის იმ სახეობებში ნაკლებად გვიჭირს, სადაც შედარებით ცოტა ფული ტრიალებს. ფეხბურთში მომუშავე ფუნქციონერებს არ ესმით, რომ ფული და შედეგი ერთმანეთთან პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში არაა. როდესაც ამჟამინდელი სატრანსფერო თანხები მესმის...

***— კერძოდ, რომელი ტრანსფერი გაქვთ მხედველობაში?***

— 30 მილიონი როსიში გადაიხადეს, 40 — პასტორეში. კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ ამხელა თანხა ნამეტანია. არასდროს დამავიწყდება ჯანი ანიელის სიტყვები. როდესაც მას სატრანსფერო თანხის მომატება ვთხოვე, მიპასუხა, —ფიატში“ 3.000 ადამიანი უმუშევარი დარჩა და მორალური უფლება არ მაქვს, ზედმეტი დანახარჯი გავწიოო.

***— ტურინის „იუვენტუსი“ კვლავინდებურად „კალჩოპოლის“ მსხვერპლად რჩება?***

— გარკვეულწილად, ასეა. ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული ანტონიო კონტეზეც. თავის დროზე მისი მწვრთნელი ვიყავი და ვიცი მისი პიროვნება. იგი რაციონალურად აზროვნებს და კარგად იცის, დასახულ მიზანს როგორ მიაღწიოს. ამით კონტე ჩემს კიდევ ერთ შეგირდს, გასპერინის მაგონებს, თუმცა, ამ უკანასკნელს მეტი სამწვრთნელო გამოცდილება აქვს. თანაც, სადღეისოდ „ინტერი“ □„იუვეზე“ უფრო ჩამოყალიბებული გუნდია.

***— დღევანდელი „იუვენტუსის“ შემადგენლობას რას უწუნებთ?***

— არა, ეს არ მითქვამს. „ბებერ სინიორას“ ძლიერი მოთამაშეებისგან შემდგარი ბირთვი ჰყავს. უბრალოდ, მოთამაშეებმაც და მწვრთნელმაც გამოცდილება უნდა შეიძინონ. ცხადია, შედარებით ახალგაზრდა მოთამაშეებს ვგულისხმობ. კონტესაც სასწავლი ბევრი აქვს. არასდროს დამავიწყდება ჩემპიონთა თასის 1983 წლის ფინალი, როდესაც „ჰამბურგის“ ავსტრიელმა თავკაცმა ერნსტ ჰაპელმა მაჯობა. მან „იუვეს“ წამყვანი ფეხბურთელების განეიტრალება მოახერხა და დავმარცხდით. აი, ამგვარი გაკვეთილები აკლია ანტონიოს.

***— მასიმილიანო ალეგრი ისეთივე პრაგმატიკოსი მწვრთნელია, როგორც თქვენ? ყოველ შემთხვევაში, ამაზე გულშემატკივრები საუბრობენ.***

— ქომაგების ამ თვალსაზრისს ვეთანხმები. ალეგრი სამწვრთნელო აზროვნებით გამოირჩევა. ამით ბევრი მწვრთნელი ვერ დაიკვეხნის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ალეგრის კლუბის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა აქვს. როდესაც „იუვეში“ მუშაობისას ვარსკვლავები „ამიჯანყდებოდნენ“, ბონიპერტის ყოველთვის ჩემს მხარეს იჭერდა. უშეცდომოდ არასდროს მიმუშავია, მაგრამ მწვრთნელს საკუთარი იდეების რეალიზაციის საშუალება უნდა მიეცეს.

***— ჟოზე მოურინიოზე რას გვეტყოდით?***

— მხოლოდ იმას, რომ უდიდესი სპეციალისტია. კრიტიკას მედგრად იტანს და საკუთარი შეცდომის დროულად მიხვედრა და გამოსწორება შეუძლია.

***— გვარდიოლა?***

— ჭკვიანი ბიჭია, მტკიცე ხასიათით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამდენი ვარსკვლავის მართვას ვერ მოახერხებდა. ვნახოთ, რა მოხდება, როცა გვარდიოლა გუნდს შეიცვლის. საკუთარ თავზე არაფერს ვიტყვი, ფაბიო კაპელო ყველგან წარმატებული მწვრთნელი იყო.

***— გვარდიოლას მსგავსად, თქვენც 37 წლისამ ჩაიბარეთ სუპერკლუბი — 1976-ში ტურინის „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელი გახდით.***

— რივერა „მილანში“ მუშაობას მთავაზობდა, მაგრამ ვუთხარი, რომ ასეთი მაღალი დონის გუნდის გასაწვრთნელად იმ მომენტში მზად არ ვიყავი. „როსონერის“ ჭაბუკთა გუნდს ვწვრთნიდი, შემდეგ მცირე ხნით დროებითი მთავარი მწვრთნელიც გავხდი. ამ დროს ბონიპერტი დამიკავშირდა და მასთან გასაუბრებამ იმდენად კარგი შთაბეჭდილება დატოვა, „იუვენტუსის“ გაწვრთნა გავრისკე. არც შევმცდარვარ. ბედმა გამიღიმა, ბონიპერტის მხარდამხარ მუშაობამ რომ მომიწია. იგი ნებისმიერ სიტუაციაში მიცავდა და თუ საჭირო იყო, თავად მაძლევდა კომპეტენტურ შენიშვნას.

***— თქვენი აღზრდილები, ფრანჩესკო ტოტი და ალესანდრო დელ პიერო ჯერ კიდევ თამაშობენ და თავიანთი გუნდების ლიდერები არიან.***

— ადამიანები, რომლებსაც ჩემს მასწავლებლებად ვთვლი, ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ გუნდიდან რომელიმე დიდი ფეხბურთელის გაშვებისას აჩქარება საჭირო არაა. ვეტერანი დიდოსტატები ახალგაზრდებისთვის მაგალითის მიმცემები არიან, თანაც, გამოცდილების და კვალიფიკაციის წყალობით, სარგებლობაც დიდი მოაქვთ.

***— შედარებით ახალი თაობის ფეხბურთელთაგან რომელს გამოარჩევდით?***

— როსის, მონტოლივოს, პაცინის, ბონუჩის, კრიშიტოს, მატრის — სიამოვნებით ვიმუშავებდი მათთან.

***— როდესაც საფრანგეთის ნაკრებთა საპლეიოფე დაპირისპირება და ანრის საქციელი გახსენდებათ, კვლავინდებურად ცუდ ხასიათზე დგებით?***

— 2 წლის სამუშაო წყალში ჩაგვეყარა და ცხადია, გული მწყდება. მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლას ვიმსახურებდით. ხომ ნახეთ, სამხრეთ აფრიკაში საფრანგეთი როგორ სუსტად გამოვიდა. ირლანდია მუნდიალზე უფრო ღირსეულად წარდგებოდა.

***— „სკუადრა აძურაზე“ რა აზრის ხართ?***

— ჩეზარე პრანდელის დონის ფორვარდები რომ მყავდეს... იტალიის ნაკრები არ დასუსტებულა, უბრალოდ სხვები საფეხბურთო კულტურის ასპექტით გაიზარდნენ.

***— სამწვრთნელო კარიერის შეწყვეტას ხომ არ აპირებთ?***

— ჩემი საქმე დღემდე დიდ სიამოვნებას მანიჭებს და ფიზიკური მდგომარეობაც მუშაობის საშუალებას მაძლევს. ირლანდიის ნაკრებთან ერთად ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებას ვაპირებ.

# უფულობამ მეგობრები დამაკარგვინა



**ნათქვამია, თუ გინდა ჭეშმარიტი მეგობარი გვერდით გყავდეს, ის ჭირსა და ლხინშიც უნდა გამოსცადო. ლევანი, რომელსაც მთელი ცხოვრება მიაჩნდა, რომ გვერდით უახლოესი მეგობრები ჰყავდა, ახლა დარწმუნებულია, რომ მამამისი ცამდე მართალი იყო და „მეგობრები" მას უბრალოდ იყენებდნენ. ერთმა წარუმატებელმა ნაბიჯმა და ფინანსურმა კრიზისმა ახალგაზრდა მამაკაცს თვალი აუხილა და საბოლოოდ დაანახა ჭეშმარიტი სიმართლე. ახლა ის სრულიად მარტო და თავისი სათაყვანებელი მეგობრები ერთხელაც აღარ უნახავს.**

ლევანი:

— მამაჩემი სულ მეუბნებოდა, ჭეშმარიტი მეგობარი ჭირში გამოიცდება, თორემ ლხინში და ჭიქების ჭახუნში ყველა მაგარიაო. მაშინ მისი არ მესმოდა და ყოველთვის ამაზე ვკამათობდით. მე ვუმტკიცებდი, რომ ჩემს მეგობრებში სულ ტყუილად ეპარებოდა ეჭვი, ხოლო ის კი მათ უარყოფით მხარეებზე მიმითითებდა. ერთხელ იმდენად სერიოზულად ვიჩხუბეთ, რომ სახლიდან წავედი და ორი კვირა ჩემს მშობლებთან საერთოდ არ მივსულვარ.

— *თქვენი მეგობრები მამას რატომ არ მოსწონდა?*

— ღმერთის იმითაც მადლობელი ვარ, რომ ჩემ გვერდით ნარკომანი და ლოთი მეგობრები არასოდეს ყოფილან, მაგრამ მამა მაინც ამჩნევდა, რომ ისინი ჩემი ფულით იყვნენ დაინტერესებულნი. მამაჩემი ყოველთვის კარგ თანამდებობაზე მუშაობდა, არც ფული გვაკლდა, არც გართობა და არც საზღვარგარეთ დასვენება. ჩემი უმცროსი ძმა უფრო მოკრძალებული ბიჭი იყო, არც დროსტარება უყვარდა და არც მეგობრებში გართობა. მთელ დღეებს წიგნების კითხვაში ატარებდა და მისთვის წიგნების გარდა, ამქვეყნად არაფერი არსებობდა. როცა წამოვიზარდეთ, მინდოდა ჩემს ძმასთან ერთად ღამის კლუბებში მევლო, ან სადმე ერთად წავსულიყავით, მაგრამ ის მაინც წიგნებთან დარჩენას ამჯობინებდა, ამიტომ შევეშვი.

ჩემი მეგობრებისთვის არაფერი მენანებოდა, რამდენი თანხაც არ უნდა ეთხოვათ, უარს არაფერზე ვეუბნებოდი. თუ ვიმნეს მანქანა სჭირდებოდა, მაშინვე ვაძლევდი, ან თავად მივყვებოდი ჩემი მანქანიანად. ეს სულაც არ მწყინდა, პირიქით, მიმაჩნდა, რომ ნამდვილი მეგობრები ასეც უნდა იქცეოდნენ. სულ მათ პრობლემებზე ვფიქრობდი, იქ ბინაში გადასვლა იყო, თუ ქალაქგარეთ გასვლა, ყველაფერს ვუგვარებდი. მამაჩემი ამის გამო სულ მეკამათებოდა, ასე არ შეიძლება, ცოტა შენს ოჯახზეც იფიქრეო.

მამაჩემს ჩემი მეგობრები თითქმის არასოდეს მოსწონდა. ყოველთვის ყველას მიწუნებდა და სულ მეუბნებოდა, ესენი შენთან იმიტომ არიან, რომ ფინანსურად ძლიერი ხარ, როგორც კი ფეხს წამოკრავ და ცოტა გაგიჭირდება, არც ერთი შენს გვერდით არ დადგებაო.

— *მამა მართალი აღმოჩნდა?*

— კი. ამას მანამდე ვერ მივხვდი, სანამ ფინანსურად არ გამიჭირდა და სანამ კისერი არ წავიმტვრიე. მადლობა ღმერთს, ისეთი საშინელი არაფერი მომსვლია, მაგრამ ცოტა მოგვიანებით ჭკუა მაინც ვისწავლე.

მცხეთაში წავედით მეგობრები და იქიდან რომ ვბრუნდებოდით, ავარიაში მოვყევით. ყველა გადარჩა, მაგრამ მე ვიყავი ცოტა მძიმედ. მაშინ მამაჩემი მუშაობდა და ჩემთვის არაფერი დაუკლია, მინიმალურ დროში ფეხზეც დამაყენა, მაგრამ ჩემი მეგობრები მაშინ ალბათ ზრდილობის გამო თუ მოდიოდნენ ჩემს სანახავად. ათასში ერთხელ რამდენიმე წუთით შემოირბენდნენ და მალევე გარბოდნენ. თან მებოდიშებოდნენ, ახლა ფულთან დაკავშირებით ცოტა გვიჭირს და როგორც კი ფეხზე ავდგებით, პატივისცემას არ მოგაკლებთო. მაშინ ფული არ გვჭირდებოდა, ამიტომ იქით ვამშვიდებდი, თქვენი ფული არაფერში მჭირდება, მთავარია თქვენ იყოთ კარგადმეთქი. თურმე ეს უბრალოდ ლამაზი სიტყვები იყო და მეტი არაფერი. ამაში კიდევ ერთმა ცხოვრებისეულმა გამოცდამ დამარწმუნა, რომელიც ალბათ ღმერთმა იმიტომ დაუშვა, რომ თვალი საბოლოოდ ამხელოდა და ყველაფრისთვის რეალურად შემეხედა.

მამაჩემი მოულოდნელად ცუდად გახდა, სიკვდილის პირას იყო. სამსახურს თავი დაანება და რეანიმაციაში სიკვდილს ებრძოდა. ყველა გვეუბნებოდა, რომ მას კიბო ჰქონდა, თან ბოლო სტადიაში და რამდენიმე თვის სიცოცხლეღა ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ ამის არავის გვჯეროდა. განსაკუთრებით ამ ამბავთან შეგუება დედაჩემს გაუჭირდა. ის ძლიერი ქალია, ცრემლებს არასოდეს გვაჩვენებდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, როგორც კი მარტო დარჩებოდა, მაშინვე თავის წუხილს ცრემლებში აღრჩობდა. მამაჩემის ავადმყოფობამ ფინანსურად დაგვაუძლურა, მისი მანქანა რომ გავყიდე, ის თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა, ჯერი ჩემს მანქანაზე მიდგა, ძალიან მენანებოდა, ქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო მანქანა მყავდა, მაგრამ რა მექნა, სასწორზე მამაჩემის სიცოცხლე იდო, ამიტომ მასზე უარი უნდა მეთქვა. ჩემს მეგობრებს მივაკითხე, იქნებ მანქანის გაყიდვას გადამარჩინოთ, თანხა მჭირდება და იქნებ შემიგროვოთმეთქი. როგორც თქვენ არ მოსულხართ და ჩემთვის არაფერი მოგიციათ, ისე არ გაუნძრევიათ ხელი ჩემს მეგობრებს. ყველა უარს მეუბნებოდა, ახლა არ მაქვს, ვერავისგან ვისესხებ, თვითონ ვალებში ვარ გაჭედილიო. რა უნდა მექნა, შეველიე ჩემს მანქანას და იმის ნახევარ ფასად გავყიდე, ვიდრე რეალურად ღირდა. სასწორზე მამაჩემის სიცოცხლე იდო, ამიტომ დაგვიანება არაფრით შეიძლებოდა.

— *მამა გადარჩა?*

— კი, მამა გადარჩა. სამწუხაროდ, ახლაც ძალიან მძიმედაა, მაგრამ ცოცხალი ხომ არის? ჩემთვის ახლა მარტო ესაა მთავარი. აღარც ფული მაქვს, რომ ღამის კლუბებში ვიარო და აღარც ჩემი სანაქებო მეგობრები მყავს. მას შემდეგ, არც მანქანა აღარ მყავს და ფულიც შემომელია, ჩემი საუკეთესო მეგობრებიც შემომეცალნენ. თითქოს მათ ცხოვრებაში არც კი ვყოფილვარ. ამას წინათ ერთ-ერთმა ჩემმა ყოფილმა მეგობარმა მანქანით ჩამიარა და არც კი გაუჩერებია. არ მჯერა, რომ ვერ დამინახა. დარმწუნებული ვარ, თვალი სპეციალურად ამარიდა, ვითომ არ მიცნობდა. მადლობა ღმერთს, მათხოვრებად არ ვქცეულვართ და თავი ასე თუ ისე გაგვაქვს, მაგრამ ისე ხელგაშლილად ვეღარ ვცხოვრობთ, როგორც აქამდე. პატარა სამსახური მეც ვიშოვე, პურის და სიგარეტის ფული მრჩება, მაგრამ გადასაყრელი ნამდვილად არ მაქვს. მამაჩემის ამბავმა რადიკალურად შემცვალა და ჩემში ბევრი რამის გადაფასება მოხდა.

— *მამა ახლაც გესაუბრებათ მეგობრებზე?*

— არა. ამ ბოლო დროს მათზე საერთოდ აღარ ვსაუბრობთ. როგორც ჩანს, მამაჩემი კმაყოფილია, თვითონ ცხოვრებამ დამანახა, ვინ ვინ არის რეალურად და ვინ არის ჩემი მეგობარი. დღეს ჩემი მეგობრებიდან არც ერთი აღარ მოდის და აღარც მნახულობს. თავიდან ეს ძალიან მწყინდა. ერთი-ორს დავურეკე კიდეც და გავლანძღე, ეგ არის თქვენი კაცობა-მეთქი, მაგრამ თავი გაიმართლეს, ქალაქში არ ვიყავით, ავად ვიყავით, არ გვეცალა და ა.შ. მათი მიზეზები არ დაილია. რამდენიმე მეგობარს სოლიდური თანხა ვასესხე, როცა მისი დაბრუნება მოვითხოვე, აქეთ გამამატყუნეს, არ გრცხვენია, მეგობრებს ფულს სთხოვო? კიდევ იქით გამოვედი არასწორი. ბოლოს გადავწყვიტე მათთვის საერთოდ დამენებებინა თავი. მივხვდი, რომ მათ ჩემთან მეგობრობა მხოლოდ ჩემი ფულის გამო სურდათ. ოჯახურმა პრობლემამ თვალი ამიხილა და ჭეშმარიტება დამანახა. მართალია ეს მამაჩემის ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე მოხდა, მაგრამ მთავარია, რომ ახლა მამა კარგად არის და მაქსიმალურად ვცდილობ, ნერვები არ მოვუშალო.

— *ძველი მეგობრებიდან არავინ შემოგრჩათ?*

— თქვენ წარმოიდგინეთ და არავინ. გვერდით ის ადამიანები დამიდგნენ, ვისაც უბრალოდ ვესალმებოდი და მათ მეგობრებადაც კი არ ვთვლიდი. ყველაფერს გვიან მივხვდი, მაგრამ გამოსწორება არც ახლაა გვიან. იმედს არ ვკარგავ, რომ მალე ისევ გავიმართებით წელში და ჩვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული. ჩემს ყოფილ მეგობრებს არ ვეჯიბრები, მაგრამ მინდა დავუმტკიცო, რომ ძალიან შეცდნენ, როცა ჩემში მარტო სარგებელი ნახეს და ასე უნამუსოდ გამომიყენეს.

**თიკო ნინიაშვილი**

## სასარგებლო რჩევები

### cfcfhut,kj vwtyfhtt,b

**მარწყვი** — არაერთი სასარგებლო თვისების მატარებელია. ის კენკროვანთა ოჯახის წევრია და ნაყოფთან ერთად მისი ფოთოლიც კი წამალია. მარწყვი მდიდარია როგორც ვიტამინებით, ასევე მინერალებით. მასში ბევრია ცე ვიტამინი, მაგნიუმი, კალიუმი, კალციუმი, ფოსფორი, რკინა, ფოლიუმის მჟავა, იოდი.

მარწყვის კვირაში სამჯერ მიღება თქვენი სისხლძარღვების კედლებს გაამაგრებს. მარწყვს ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო და ანტიმიკრობული თვისებებიც. სიტკბოს მიუხედავად იგი აბსოლუტურად უვნებელია დიაბეტიანებისთვის, რადგან სისხლში შაქრის დონეზე გავლენას საერთოდ არ ახდენს.

მარწყვს აქვს შარდმდენი ეფექტიც, ამიტომ მისი მიღება მისწრებაა თირკმლის პრობლემების დროს. მარწყვის ნაყოფი და ფოთლების ნახარში არტერიული წნევის მოსაწესრიგებლადაც გამოიყენება.

მედიცინაში მარწყვის აქტიურად გამოყენების გარდა, ის კოსმეტიკური საშუალებაც არის. მისი ნიღაბი უნიკალურია აკნეს სამკურნალოდ. ის კი, ვინც ჭარბ წონას აქტიურად ებრძვის, მარწყვს მიირთმევს. იგი ადამიანს ზედმეტ კილოგრამებსაც აშორებს და ორგანიზმსაც უწმენდს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მარწყვი ალერგიული კენკრაა. ამიტომ თუკი მარწყვზე ალერგიული ხართ, მისი დიეტა თქვენ არ გამოგადგებათ.

თუკი მაინც გადაწყვიტეთ მარწყვის დიეტას მიმართოთ, მოიწყვეთ მარწყვით განტვირთვის დღეები — მიირთვით დღეში 1-1,5 კილო მარწყვი ზედიზედ 3 დღე და 2-3 კილოგრამის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოდ დაკლება გარანტირებული გაქვთ.

თუკი იმუნიტეტი შეგისუსტდათ, ცე ვიტამინის შემცველობისა და ანტივირუსული მოქმედების წყალობით მარწყვი იმუნიტეტსაც გაგიძლიერებთ და თქვენს გაციებასაც შეებრძოლება. თუ შეატყვეთ, რომ იმუნიტეტი შეგისუსტდათ, დაიწყეთ დღე მარწყვით — მიირთვით ყოველ დილით, უზმოზე, 10 ცალი ეს ჯადოსნური კენკრა და ერთ კვირაში აშკარა უკეთესობას იგრძნობთ.

ანემიის დროს, რკინისა და ფოლიუმის მჟავას შემცველობის წყალობით მარწყვის როგორც ნაყოფი, ასევე ფოთლებიც გამოიყენება. გთავაზობთ რეცეპტს, რომელიც ანემიის დაძლევაში დაგეხმარებათ: 50 გრამი კარგად გარეცხილი მარწყვის ფოთოლი ჩაყარეთ ფაიფურის ან მინის ჭურჭელში, დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური, შეფუთეთ თბილად და 1 საათი გააჩერეთ. სვით დღეში სამჯერ 50-50 მილილიტრი.

თუკი აკნემ შეგაწუხათ, გაწმენდილ-გასუფთავებული სახის კანი მარწყვის წვენში დასველებული ბამბის ტამპონით გაიწმინდეთ, შემდეგ კი წაისვით



ბლენდერში ათქვეფილი მარწყვის ფაფა. 15-20 წუთი გაიჩერეთ და ჩამოიბანეთ თბილი წყლით ან მოიწმინდეთ თბილ რძეში დასველებული ბამბის ტამპონით. ეს ნიღაბი ავიწროებს ფორებს, ელასტიკურობასა და სიმკვრივეს მატებს კანს. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ძირფესვიანად აქრობს აკნეს.

არტერიული წნევის მომატებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დროს კვლავ მარწყვის ფოთოლი დაგეხმარებათ. 50 გრამ გარეცხილ და გარჩეულ მარწყვის ფოთოლს დაასხით 2 ლიტრი წყალი და ადუღეთ, სანამ 1 ლიტრამდე არ დავა. გადაწურეთ, გააცივეთ და სვით დილა-საღამოს 100-100 მილილიტრი.

### hjujhitdbyfhxeyjs yfvptehb0

მთელი ზაფხულის განმავლობაში ადამიანები ნამზეურის მიღებაზე ოცნებობენ. მთავარი პრობლემა კი ამ ნამზეურის შენარჩუნებაა. მნიშვნელოვანიაე სად მიიღეთ ნარუჯი — თუ ცხელ და მცხუნვარე მზეზე დიდხანს იწექით, არ გაგიკვირდეთ, თუ ფერი თანდათან გაფერმკრთალდება და ძველებურ სისავსეს დაკარგავს. თუ საკუთარ აგარაკზე დიდი ხნის მანძილზე ილებდით მზის აბაზანებს. ეს ძალიან მარტივად აიხსნება: უჩვეულოდ მცხუნვარე მზე თითქოს აიძულებს კანს „დაიბრაწოს" და ჩვეულ კლიმატთან დაბრუნებისას, კანი ცდილობს, რაც შეიძლება მალე აღდგეს, აახლებს უჯრედებს და „დამწვარს" აცილებს. ამიტომ ქრება ის უფრო მალე. თუ პლაჟზე გასვლისას ყოველთვის გქონდათ ქოლგა და სხივებს მის ჩრდილში იღებდით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კანის სამხრეთული ელფერი დიდხანს გაგყვებათ.

ჩრდილში ნამზეური კანს არ ვნებს. უბრალოდ, შედეგის მისაღებად გაცილებით მეტი დროა საჭირო. არჩევანი კი ახლა თქვენზეა!

მზისგან დამცავ საცხებს სხივების მავნე ზემოქმედებისგან სრულად დაცვა არ შეუძლია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთ საშუალებებზე საერთოდ უნდა ვთქვათ უარი. ნამზეურამდე და ნამზეურის შემდეგ საგანგებო კოსმეტიკა აუცილებელია და ის უნდა გამოიყენოთ. როცა თქვენსას მიაღწიეთ და კანმა შოკოლადის ფერი მიიღო, გარუჯული კანის სიჯანსაღეზე ზრუნვის დროა. კანი ამ დროს ძალიან გამომშრალია და დასაწყისისთვის სწორედ ამ უწყლობის მოგვარებაა საჭირო. აუცილებელია, ინტენსიური დატენიანება, ამიტომ სახესა და სხეულზე დაბანის შემდეგ დამატენიანებელი რძე, ზეთი ან ნელსაცხებელი უნდა წაისვათ. სასურველია, ეს საშუალებები ანტიოქსიდანტებს შეიცავდნენ. მზე აჩქარებს კანის დაბერების პროცესს, ხოლო ანტიოქსიდანტები ამ პროცესს ეწინააღმდეგებიან.



**გარუჯვა**

გარუჯვის შემდეგ გამოსაყენებელი ნელსაცხებლები კანის დატენიანების შესანიშნავი საშუალებაა. როგორც წესი, ისინი კანსაც რგებენ და ფერსაც ინარჩუნებენ. ზაფხულის დამთავრებისთანავე შორეულ უჯრაში მათი შენახვა საჭირო არაა. ჩვეულებრივ დამატენიანებელთანაც კარგად თავსდება. კანი წყლის ნორმას აღიდგენს და ზაფხულის ფერიც დიდხანს დარჩება.

**არ მოიშოროთ ნამზეური ნებაყოფლობით**

არსებობს პროცედურები, რომლებიც ძალიან მალე უბრუნებენ კანს ბუნებრივ ფერს. ამის თავიდან ასაცილებლად, პირველ რიგში, თავი მათეთრებელი ნიღბებისგან, იმავე ეფექტის ტონალური და მკვებავი კრემებისგან, გელებისგან, მაკიაჟის მოსაშორებელი საშუალებებისგან და ზოგიერთი დეკორატიული კოსმეტიკისგან შეიკავეთ. თუ ნამზეური თქვენთვის ძვირფასია, კოსმეტიკის ინსტრუქცია ყურადღებით და საგულდაგულოდ წინასწარ შეისწავლეთ.

**ნამზეურის მტრები**

ნამზეურს ძალიან მტრობენ აბანო და საუნები. მათი დახმარებით სანატრელ ფერთან დამშვიდობება დაჩქარდება. ამ პროცედურების დროს კანი ძალიან იორთქლება და ღრმად იწმინდება. ერთი ჯერიც საკმარისია, რომ ნამზეური შესამჩნევად გაფერმკრთალდეს.

**ვიტამინური დაცვა**

ნამზეურს დაცვა შიგნიდანაც სჭირდება. მარტივია ისეთი ვიტამინური კომპლექსის შერჩევა, რომლის შემადგენლობაშიც, საჭირო ვიტამინის გარდა, კანისთვის, ფრჩხილებისა და თმისთვის სასარგებლო კომპონენტები შედის. ჯობია მის ყიდვამდე, ექიმთერაპევტისგან კონსულტაცია მიიღოთ

**სოლარიუმში**

სოლარიუმი ზაფხულის ნამზეურის შესანარჩუნებლად ყველაზე მარტივი და თანაც ქმედითი საშუალებაა. თუმცა თვითონ უნდა გადაწყვიტოთ, რამდენად ჯანსაღია თქვენი სხეული ასეთი ზემოქმედებისთვის. დიდხანს და ხშირად სოლარიუმში მისვლა თქვენ არ დაგჭირდებათ. კვირაში ან ორ კვირაში ერთი პროცედურა სავსებით საკმარისია. ხელოვნური მზის ულუფები და მიღების სიხშირე ინდივიდუალურ მომენტებზეა დამოკიდებული.

**საცურაო კოსტიუმი და ნამზეური**

საცურაოდ განკუთვნილი სამოსი უნდა იყოს გამძლე და კარგად მორგებული, ხანგრძლივი ბანაობის შემდეგაც კი კარგად გამოიყურებოდეს, სწრაფად შრებოდეს და არ კარგავდეს ფორმას, ფერსა და მომხიბვლელობას მზისა და წყლის ზემოქმედების შედეგად.

**დააკვირდით ქსოვილს**

ყველაზე უბრალო და იაფი საცურაო კოსტიუმი პოლიესტერისგან იკერება. ეს სინთეტიკური მასალა მტკიცე და გამძლეა, არც მზის სხივების ზემოქმედებით იცვლის ფერს, მაგრამ ძნელად შრება და მალე კარგავს ფორმას. გამოადგება მას, ვისაც ის მხოლოდ ერთი სეზონისთვის სჭირდება. კარგი საცურაო კოსტიუმი 15-20% ლაიკრას შეიცავს. ლაიკრაშემცველი ქსოვილი მოქნილია, კარგად არის მორგებული სხეულს, კვეთს ფიგურას. ლაიკრის დამატების შემთხვევაში ბამბის ქსოვილებიც კი კარგად ინარჩუნებენ ფორმას. რაც უფრო მეტია ქსოვილში ეს სინთეტიკური კომპონენტი, მით უფრო გამძლე და ძვირფასია საცურაო კოსტიუმი. მაგრამ არ შეგაცდინოთ მაღალმა პროპორციებმა: თუ ლაიკრის შემცველობა 30%-ზე მეტია, ქსოვილი ვერ სუნთქავს. ელასტინი — ეს არის პოლიურეტინული ბოჭკო, რომელსაც შესწევს უნარი, 700%-ით გაიწელოს. მას ელასტიკურობისთვის ამატებენ სხვა მასალებს. ტაქტელი ლაიკრისა და ტრიკოტაჟის მიკრობოჭკოს ნარევია. ჰგავს პოლიამიდს, მაგრამ ნაკლებად ბზინავს. რბილია, ელასტიკური და ისეთი მსუბუქი, რომ კანზე არც კი იგრძნობა. პოლიამიდი — ამ ქსოვილისგან დამზადებულ საცურაო კოსტიუმს ადვილად ამოიცნობთ დამახასიათებელი ბზინვარების წყალობით. ის მტკიცეა, ელასტიკური, სწრაფად შრება, კარგად გამოკვეთს ფიგურას. დღეს საცურაო კოსტიუმების უმრავლესობა იტალიური ქსოვილისგან იკერება, რომელიც შესახებად სასიამოვნოა, საოცრად მსუბუქია, ნატიფი და სწრაფად შრება.

**თიკო ნინიაშვილი**

## ორშაბათი 15 აგვისტო

